№ 8
1909

შინაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I—საწყალის კაცის ვედრება —დექსი, (შაირ-ნაირი) ვაჟა-ფშაველისა 3

II—ძაღლმა ციკანი მოიგო.—ვაჟა-ფშაველისა 5

III—ნაკადული.—დექსი, ლადო კატლაძისა. 13

IV—ფუტკარი და მისი ცხოვრება.—(შემდეგი) წერილი მეოთხე: ფუტკარის გონიერება, ალ. წულაძისა. 14

V—ვლადიმირ ბეჟანისძე ლორთქიფანიძე.—ნეკროლოგი, მ. დ—სი 20

VI—კარტოფილი.—(თარგმანი) განდეგილისა. 23

VII—მდევი-ეგოისტი.—ოსკარ-უაილდისა (თარგმანი) გ. ნამორაძისა 33

VIII—ორი გმირი.—ნ. ულიხისა, (თარგმანი) თ. კანდელაკისა. 41

IX—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგი), ი. მოსეშვილისა 47

X—უკანასკნელი რაინდი ალტენარი.—(რეინელი ლეგენდა) თ. დომაურისა. 51

XI—მითოლოგია, ტროადის ომი.—ჰექტორის და ჰაიანტის შებრძოლება ა. მიქაბერიძისა. 54

XII—ნარევი:—ა) შარადა, ვ. ჭიჭინაძისა,—ბ) ციფრების ფოკუსი, ვ. ნ—სა—გ) რებუსი და აღსნა. 60

ნაკადული

საუმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეხუთე

№ 8.

აგვისტო, 1909 წ.

ზღვის ფსკერი ატლანტიკის ოკეანეში, დაფარული მცენარეულობით.

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ТИФЛИС

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—საწყალის კაცის ვედრება.—დექსი, (შაირ-ნაირი) ვაჟა-ფშაველასი 3

II—ძაღლმა ციკანი მოიგო.—ვაჟა-ფშაველასი 5

III—ნაკადული.—დექსი, ლადო კატლაძისა 13

IV—ფუტკარი და მისი ცხოვრება.—(შემდეგი) წერილი მეფუტკრეობა: ფუტკრის გონიერება, ალ. წულაძისა 14

V—ვლადიმირ ბეჟანისძე ლორთქიფანიძე.—ნეკროლოგი, მ. დ—სი 20

VI—კარტოფილი.—(თარგმანი) კანდეგიდისა 23

VII—მდევი-ეგოისტი.—ოსკარ-უაილდისა (თარგმანი) გ. ნამორაძისა 33

VIII—ორი გმირი.—ნ. ულიხისა, (თარგმანი) თ. კანდელაკისა 41

IX—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგი), ი. მოსეშვილისა 47

X—უკანასკნელი რაინდი ალტენარი.—(რეინელი ლეგენდა) თ. ლომაურისა 51

XI—მითოლოგია, ტროადის ომი.—ჰექტორის და ჰაიანტის შებრძოლება ა. მიქაბერიძისა 54

XII—ნარევი:—ა) შარადა, ვ. ჭიჭინაძისა,—ბ) ციფრების ფოკუსი, ვ. ნ—სა—გ) რებუსი და ალსნა 60

საწყალის კაცის ვედრება

(შაირ-ნაირი)



ანავ, ამოდი, მაღალი, ხშირი!
შემოგღალადებ და შემოგტირი!
ცას შაეხვეწე, ევედრე მზესა,
ჩვენ სულის ჩამდგმელს, მცენარეთ მწესა.

— წვიმავ, დანამე! მზეო, გაათბე
ამაგი ჩემი, ნალვაწ-ნაოფლი!
მომჩერებიან მშიერ-ტიტვლები,
ჰშიანთ საწყლებსა, ჩამოსდით ცრემლი.

ცაო, შენა ხარ ჩვენი ნუგეში
და, მიწავ, ჩვენი მშობელი დედა!
მოგვეცით სარჩო, მოგვეცით საზრდო,
გადავიყაროთ გულიდან სევდა.

ისმინა ღმერთმა, ისმინა ცამა
ჩემი მუდარა, ჩემი გოდება:
მიყუჩდა არე, თითქოს ყურს მიგდებს,
ცაზედ ღრუბლები მოდის, გროვდება.

„ნუ სტირი, ნუო“! იჭექა ცამა,
მკერდი გადიხსნა, დაუშო წვიმა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაგვალს მიწასა ძუძუ აწოვა,
ყანა გაცოცხლდა და გამიღიმა.

გახარებული ჩემი ობლები
ფერხულს აბამენ, ხტიან, მღერიან.
ან რად იტიროან, რად ივაგლახონ,
როს მომავალში შვებას ელიან.

კურდღელს საცუცნად ალაღებს ყანა,
თავ-შესაფარად მას ჰგუობს მწყერი.
მეც მიხარიან, განგებას ვმადლობ,
ჩონგურს ვაჟღერებ, ლაღადა ვმღერი.

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალლმა ციკანი მოიგო



I

ბაისის პირველი რიცხვები იყო: ცხვრის ფარა ფარაზე მოდიოდა ჭალაზე სამთოდ; ბატკნებისა და დედების ბღავილი მთა-ბარს აქცევდა, ყურთა სმენა აღარ იყო; მთელის ერთის კვირის განმავლობაში ფარები განუწყვეტლივ წყალივით დიოდა. შოლტების ტყლაშა-ტყლუში „ბრიე-ქსსიეს“ ძახილში ისე ექსოვებოდა, როგორც ჭექა-ქუხილში ელვის ტკრციალი; ამწვანებული ჭალები გათეთრდა, თითქოს დაეთრთვილოს. ფარების შუაგულში ჩაჩხირული დატვირთული სახედრები ყურების ბარტყუნით დინჯად მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჯებდნენ. უკან კუდ-გაკრეჭილი, ენა-გადმოგდებული ძაღლ-ფრები მისდევდნენ. რა ხანია, ცხვრის ფარებმა მთები გაათეთრა, დათოვლა; თითქმის ორი კვირა გავიდა, მაგრამ გზას, რიყეს, რაზედაც ცხვარმა გაიარა, საამური სუნი ასდის ისევ.

„ცოფიანი, ცოფიანი“! გაისმა ხმა შარად: „აგერ, აგერ, კიდევ გამოჩნდა, მიწას ჰსუნავს, ღმუის, ლასლასებს“.

დედები შვილებს სახლში ერეკებოდნენ, სახლის კარებს ჰხურავდნენ. მამაკაცები თოფებს იმარჯვებდნენ, უნდა მოეკლათ „ცოფიანი“. მაგრამ ჯერ კარგად უნდა გაეგოთ, დარწმუნებულიყვნენ, მართლა ცოფიანი იყო თუ არა, უთვალთვალებდნენ.

— ნუ მოჰკლავთ, არ არი ცოფიანი, არა! — დაიძახა ერთმა: — არ ერჩის არავის. ხბოებს, ცხენს გვერდზე გაუარა, ზედაც არ შეჰხედა, არ არი ცოფიანი! — დაიძახა კვალად შუახნის კაცმა, რომელსაც ვერცხლის სალტებიანი ჯაზეირი ეჭირა ხელში.

— ცხვრის ძაღლი უნდა იყოს, — ჩამოართვა სიტყვა მეორემ: — ყელზე ჩანგალიც რომ აქვს, მეცხვარეებს დაჰრჩებოდათ ნამდვილად. რა ძაღლია!

როგორც იყო, ბოლოს და ბოლოს, ძლივს დარწმუნდა ხალხი, რომ უპატრონო ძაღლი არ იყო ცოფიანი. ახლა სხვა თვალით უცქეროდნენ, ყველა ცდილობდა მოებირებინა, უალერსებდა, პურსა სთავაზობდა, მაგრამ ცოფიანი ყურს არავის უგდებდა: ერთის ფიქრით, ერთის დარდით შეპყრობილი შორს გაიყურებოდა; ასწევდა ცხვირს მაღლა და საზარელის ხმითა ღმუოდა; ასდევდა და ჩასდევდა გზას, ჭალებს, მდინარის პირებს, სუნავდა მიწას, ვიღაცის კვალს დაეძებდა.

მე მაშინ ყმაწვილად ვიყავ, ასე რვა-ცხრა წლისა. ძაღლი ძალიან შამეცოდა; თუმცა ახლო ვერ უდგებოდი, მაგრამ შორი-ახლოდან თვალყურს ვადევნებდი; მეც ვეცადე მის გადმობირებას; შორიდან პურისა და ხორცის ნაჭერი გადაუგდე უნაყოფოდ. რამდენიმე დღე ჩვენის სოფლის მიდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებში ვხედავდი, ბოლოს სადღაც გადიკარგა. გავრდა საბი-
დღე და ვნახე, რომ ჩვენის სახლის ბოლოზე არაქათ-გამო-
ლეული მოლასლასებდა, ფერდი-ფერდზე მიჰკროდა. უკან
დავედევნე, თვალი აღარ მოვაშორე. მდინარის პირს აღმა
მისდევდა, დაბურულ ჭალაში შეაფარა თავი, სადაც ჩვენ
წისქვილი გვქონდა. მივსდევ შორი-ახლოს. წისქვილის კარებს
მიადგა, აეფოფხა, ქურდობას ჰბედავდა, ვერაფერს გახდა,
შიგ შესვლა ვერ მოახერხა. წავიდა, განშორდა იქაურობას,
აჰყვა წისქვილის რუს და დიდრონ ტირიფის ფესვებ შუა ჩა-
წვა. საშინლად დაღლილ-დაქანცული იყო; ეტყობოდა, სა-
შინლად ჰშიოდა.

ნუ თუ არც ეხლა მიიღებს ძღვენს? ვნახოთ. სიკვდილის
პირად არის მისული. ვეცდები; ეს ჩემი ცდა უკანასკნელი
იქნება, მაგრამ, რა ვიცი, რომ ნაყოფს არ გამოიღებს?!

II

მე სახლისკენ მოვკურცხლე. თაროზე რაც პურის ნა-
ტეხები, თუ ხორცის ნაჭრები შემხვდა, მოვაგროვე, შევ-
კარი ხელსახოცში და წავედი. შორი-ახლოს დავდეგ, ძაღლმა
არ შემომხედა. გადაუყარე, რაც-კი რამ ხელსახოცში სანო-
ვაგე მეპოვებოდა; ყველა ეს იმის ცხვირ-წინ დაეცა. შე-
მომხედა, მაგრამ თავი სხვა მხარეს მოიბრუნა, თვალები მო-
მარიდა.

იქნება ჩემი სცხვენიან? ვიფიქრე,—მოვშორდე, მოვე-
ფარო სადმე. ასეც მოვიქეცი. წისქვილთან დავიმალე. ნახე-
ვარ-საათს შემდეგ დავბრუნდი. ჩემს ოსტატობას გაეჭრა. ძა-
ღლის წინ ნამცეციც აღარ მოიპოვებოდა არც ხორცისა და
არც თუ პურისა. სიხარულით ცას დავეწიე. „ძაღლი ჩემია“!
ვდუდუნებდი ჩემთვის. ბედნიერი ვარ, ბედნიერი! რა ძაღლი
მეყოლება! საცა წავალ, თან წამომყვება. დავაბუბნინებ მე-
ზობლის ძაღლებს, ვანადირებ კურდღლებზე. ათასი საგმირო
საქმე წარმოვიდგინე ოცნებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ კიდევ ვეცი ამ ნაირად პატივი და, მესამე პატივისცემის შემდეგ, ძაღლი უკვე კუდს მიქნევდა, მადლობის ნიშნად. საღამოზედ თანაც წამომყვა სახლში. ჩვენებსაც გაუხარდათ, თუმცა მამა-ჩემს არა სჯეროდა ჩემის ბედნიერების ხანგრძლივობა: „პატრონი გამოუჩნდება, შვილო, ტყუილად კვება შეგრჩებაო!“

— ვინ პატრონი? პატრონი მე ვარ-მეთქი!—უპასუხე.

— ახლა შენ იცი!—სთქვა მამა-ჩემმა, ამით გათავდა ძაღლის შესახებ ჩვენი კამათი.

ვინცა ნახა, ყველას ძალიან მოეწონა და ყველა იმას ამბობდა: მგელს დაარჩობსო, ათი ძაღლიც ვერას დააკლებსო, ტოტები და ლაშები იმისთანა აქვსო. მართლაც, თავად რაც იყო, ხომ იყო და ჩანგალი ყელზედ ჩადებული, საჩეჩლის კბილებიანი, ათს იმოდენასა ჰშველოდა. უნდა დამება, თოკი მოუმზადე, მაგრამ მიღრინა, ითაკილა, მეც თავი დავანებე, რა გამეწყობოდა? სახელად ჯავრია დავარქვი. ორ-სამ დღეს არ იყეფებოდა, ნაღვლიანი, დაჩაგრული იყო. მე-კი მოუთმენლად მოველოდი—გამეგონა მისი ხმა... როგორც იყო ამასაც მოვესწარი და ჩემს აღტაცებას სამზღვარი არა ჰქონდა. ბოხი, ზავთიანი მისი ხმა გამოუთქმელს ნეტარებას მიბადავდა გულში: ღაფ-ღაფ-ღაფ! ვეფხვივით ბრტყვინავდა.

მომყვანდა ამხანაგები, მეზობლის ბიჭები, რომ მეჩვენებინა იმათთვისაც ჩემის ძაღლის სიკეთე. უხაროდათ თუ სწყინდათ ჩემი ბედნიერება, ღმერთმა უწყის.

ასე იყო თუ ისე, ჩემს ძაღლს დიდი სახელი გაუვარდა სოფელში: „მღვდლიანთ ძალიან ავი ძაღლი ჰყავთო, მხედარს ცხენიდან გადმოიღებსო!“ ამიტომ ბევრი პირდაპირ ვერ ჰბედავდა მოსვლას, ზოგი შორიდან 'იძახოდა: მოვდივარ, ძაღლი არ მარჩოლოო!

სხვა კაკალზე, ან პანტაზე აებღაუტებოდა და იქიდან გვამცნევდა თავის ვინაობას. მე ამით, რა თქმა უნდა, თავი მომწონდა...

ვაჟკაცი დინჯი სჯობია,
ძაღლი თეოზე მყეფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

დღეს ღამე მოსდევს, დარს—ავდარი, ტკბილს—მწარე, სიცოცხლეს—სიკვდილი, ლხინს—მწუხარება, ასეთია წუთისოფელი.

გავიდა ხუთი თვე. დადგა შემოდგომა. დაიწყო ფოთოლმა ჩამოცვენა. გრილა. ღამე რთვილს აგდებს. მთის წვერებს, თუ პატარა წამოწვიმა, მაშინვე თოვლს მოჰკიდებს. აღარ ედგომილება ცხვარ-მწყემსს მთაში. დაიძრა მთიდან ფარები საბაროდ. მოსდევს ფარას ფარა იმავე წესით, როგორც გაზაფხულზე ვნახე. მხოლოდ ახლა ცხვარს სულ სხვა ფერი ადევს. სიმსუქნით ხორცი ტანზედ უთამთამებს, დუმებს თითქო დაბლა—მიწაზე მოათრევენ. მოსჩანან ცხვართან მხარზე კომბლებ-გადადებული, ტყავიან-თექიანი მწყემსები, სახედრები ახლა უფრო ყოჩაღად მოაბიჯებენ, ფერი დაუწმენდიათ, ბეწვი გამოუცვლიათ, იალაღს ყველასთვის ახალი სული ჩაუდგამს, ახალი სიცოცხლე შთაუბერია. ძაღლებს დასცხომიათ, ქასქასებენ. ჩვენი—და რა ჩვენი—მთელის სოფლის თვალი და ყური ამ დროს ცხვარ-მემცხვარისკენ არის მიპყრობილი.

ჯავრიამ, რა დაინახა ეს სურათი, ველარ ისვენებდა ერთ ალაგას, დაიწყო წკმუტუნი, არა ჩვეულებრივი ალერსი დამიწყო, მეტოტავებოდა, ხელებს მილოკავდა, თითქოს სამუდამოდ უნდა გამომთხოვებოდა და ხან ცხვარსა და მთელს იმის მოკაზმულობას, მის მხლებლებს გასცქეროდა. გულმა ველარ გაუძლო, გაიქცა ცხვრისკენ... შედგა, მოიხედა ჩემსკენ. მე ვიგრძენ, რომ ძაღლის მღელვარება კარგს არას მოასწავებდა.

—ჯავრია, ჯავრია, აქ, აქ მოდი!—შეუძახე.

წამოვიდა ჩემსკენ, მაგრამ თან ცხვრის ფარას ვერ აშორებდა თვალს. დამიწყო ხელების ლოკვა, ატოტავდა, ორივე ფეხი გულზე მომაბჯინა, თვალებში მომაჩერდა, თითქოს ბოდიშს იხდიდა იმ გრძნობისათვის, რამაც დღეს, მოულოდნელად იმის გულში გაიღვიძა, უნდოდა ეთქვა—ჰაპატივეო, მაგრამ როგორ მეტყოდა პირუტყვი მეტყველს?

ენა სდუმდა, ხოლო თვალები უფრო მეტს ამბობდა, მეტს ნაღველს ჰხატავდა, ვიდრე ენას შეეძლო ეთქვა. ბოლოს ფეხები ჩამომაშორა და ცხვრებისკენ გაიხედა... გაიქცა კიდევაც. მე ველარაფერს ვამბობდი, მხოლოდ დანაღვლიანებული თვალს ვადევნებდი ძაღლის ყოფა-ქცევას. როგორც ანდამატმა ნემსი, ისე მიიზიდა ჩემი ჯავრია ცხვარ-ბანიმ, რომელიც არც-კი ისაკლისებდა ძაღლს და გადავიწყებულიცა ჰქონდა ერთს დროს თავის ერთგულის ოთხ-ფეხის არსებობა. თვით ჯავრიასაც დაჰვიწყებოდა, რა ყოფაში ჩააგდო იგი ცხვრის დევნამ, დაჰვიწყებოდა ჩემი ამაგიც, იქ მიიზიდებოდა, იქ ეწადა. დაჰგმო ფუფუნება, საუკეთესო საჭმელი და მყუდრო სადგური. როცა ცხვარს მიუახლოვდა, ერთხელ კიდევ დაუძახე ხმა-მაღლა, მაგრამ ყური აღარ მიგდო. შეიჭრა პირ-და-პირ ძაღლების გუნდში; მისმა ნაამხანაგრებმაც დაქინდრული თავები მაღლა აიღეს, დაშვებული კუდები ასწიეს და ჯავრიას ალყა შემოარტყეს, როგორც მოულოდნელად მისულ მტერს; დაუწყეს ღრენა... ხოლო ღრენა მალე სუნვად გადაიქცა, კუდების აფშლეკა—კუდებთან გადაჯვარადინებად. საქმე ცუდად იყო. ჯავრიამ თავისთავსაც უღალატა და მეც. ველარ მოვითმინე და მეც იქ მივედი. შორი ახლოს დავდეგ.

მწყემსმა იცნო თავისი საყვარელი ძაღლი, მწყემსობაში ძვირფასი ამხანაგი და მიაშურა ძაღლისკენ. ჩემი ჯავრიაც მიეგება, როგორც შვილი დედას, და გაიმართა მათ შორის თავაზა და სალამი. ძაღლი ხელებს ულოკავდა, ხოლო მწყემსი თავზე ხელს უსვამდა და ალერსიანად ჩაელაპარაკებოდა.

— ღურბელავ, ღურბელავ, ჰეი შე რჯულ-ძაღლო, შე მამა-ძაღლო, სად იყავ, ‘ეაცო, რად დაგვანებე თავი, უშენობით, იცი, რამდენი ვიზარალეთ?!

სწორე სახელიც არა მცოდნია ძაღლისა მე უბედურს,— ვსთქვი გულში. განა საკვირველია, ის ძველი პატრონი არჩიოს ჩემ თავს, რომელსაც პატარა შვილივით გაუზრდია, მერე ამდენის ცხვრის პატრონი. ეჰ, ნეტავი მეც ცხვარი მყოლოდა.

ჯავრიამ დამინახა, შერცხვა, თვალები მომარიდა, გადგა განზე, მეცხვარესაც მოშორდა და სხვა მხარეს დაიწყო ყეფა, თუმცა დასაყეფი არავინ და არაფერი იყო.

— წავიდეთ, ერთად წავიდეთ, ჩემო ღურბელავ, ახლა მაინც თავს ნულარ დამანებებ,—ჩაეუბნებოდა ძაღლს და თან ბანჯღვლიანს ქუდს აფამფარებდა.

— სად უნდა გამოგყვეს, ძმობილო, ძაღლი ჩემია!—უთხარი მე მწყემსს სახე-ალეწილმა და საჩხუბრად გამზადებულმა.

— განა არა ჩანს, ძაღლი ვისიც არი.—წარმოსთქვა მან და თან გულიანად გადიხარხარა: ეს მგელი, ეს იმის კვალიო.

მოუყევ აქეთურ-იქითურს, თუ რამდენი შრომა გავწიე ძაღლზე, გამოვკვებე. მწყემსმა ყურზე ხელი არ მოიკიდა.

წავედი შინ, შევჩივლე მშობლებს, დამეხმარეთ მეთქი, მაგრამ იმათაც უარი მითხრეს. „პატრონი გამოსჩენია, რა გვეთქმისო“!

თვალ-ცრემლიანს მოიმინდა ისევ მწყემსებთან მისვლა და მუქარა ახლა ხვეწნაზე შევცვალე—ვეხვეწებოდი, დამითმეთ ძაღლი მეთქი, მაგრამ დიდი უარი მითხრეს.

— ვისია ეს ბალღი? დაეკითხა ჯავრიას პატრონი ერთ-ერთს მწყემსს, რომელიც ჯოხზე იყო დაბჯენილი და ჩვენს ლაპარაკს ყურს უგდებდა.

— ღვდლისა უნდა იყოს.—უპასუხა იმან.

— ჰო, მღვდლის შვილი ვარ-მეთქი, წამოვიძახე გათამამებულმა, რომ ეგებ მღვდლის შვილობას მაინც ეშველა ჩემთვის.

— ძალიან კარგი! მახარე, მახარე, მიუბრუნდა ჩემის ჯავრიას პატრონი მესამე მწყემსს, დაუჭირე ერთი ნაგალა ციკანი, ტყუპის ცალი: რაკი ძაღლი კარგად შაუნახია, ჩვენც პატივი ვცეთ, არაფერი გაგვიხდება ერთი მგლის ვახშამი და ეს ჯეელიც არ დაგვწყევლის.

მე ჯერ ვიუარე, მაგრამ ბოლოს უდედობას დედინაცვალი ვამჯობინე.

ცხვარსა და მეცხვარეებს სამის ვერსის მანძილზე გავყევი. ჯავრია ჩემთან მოდიოდა, ეგონა მეც იმასთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქნებოდი ცხვარში, უხაროდა, აღარ ირცხვენდა თავის მოყვ ქმედებას. ბოლოს გამოვეთხოვე მწყემსებს გულ-დაკოდილი და ნაფეშქეშარი ნაგალა ციკანიც თან წამოვიყვანე. ცოტა მანძილი რომ გამოვიარე, ჯავრიას სამჯერ კიდევ დაუძახე. ჯერ წამოვიდა ჩემსკენ. გაასაშუალა ჩემი გამოვლილი მანძილი, დადგა, კუდის ქნევით მიცქირა ცოტა ხანს, მერე ამოიძუა კუდი და მიმეფარა თვალთაგან.

ახლა ციკანი მყვანდა ჯავრიას მაგივრად. ძაღლის ხმა ლაფლაფით მომწონდა, ამის ხმა კიკინით მახალისებდა. როცა კიკინით მომეგებებოდა, გულში ვიხუტებდი და ვკოცნიდი. პატარა რქების ძირებზე ვფხანდი, ესიამოვნებოდა, თავს მიშვერდა, ბუჩაობაც ვასწავლე... ბაკა-ბუკით დაბძანდებოდა, თითქოს ქოშები აცვიაო. ისე გაეშმაკდა, რომ, ვინ იცის, რა ოინებსა შვრებოდა; სიცილითა გვხოცავდა, მეტადრე მაშინ, როცა კატას ებუჩავებოდა...

ჯავრია ღმერთმა პატრონს მოახმაროს მშვიდობა-გამარჯვებაში, იმის წყალობით ბევრი ბეკეკა და ციკანი გააზრდევინოს!...

ვაჟა-ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა კ ა დ უ ლ ი

ძალალ კლდიდან, მთის ჩირგვებში
მოჩხრიალებს ნაკადული;
მარდად მოხტის და თან მოაქვს:
შვება, ლხენა, სიხარული!

მინდორ-ველზე გადაეშვა,
მიიმღერის ტკბილად ნანას;
აგერ გვერდით ჩაურბინა
გოლვისაგან გამხმარ ყანას.

მგზავრი ამბობს: როს სიცხისგან
მწარედ სული მეხუთება,
იმას უნდა მივაშურო,
იქ სიგრილე მეგულება!

მივადგები იმის ნაპირს,
იქ ხის ძირში შევისვენებ;
მოჩუხჩუხე ნაკადულით
დასიცხულ გულს გავიგრილებ!...

ძალალ კლდიდან, მთის ჩირგვებში
მოჩხრიალებს ნაკადული;
მარდად მოხტის და თან მოაქვს:
შვება, ლხენა სიხარული!

ლადო კატაძე

ფუტკარი და მისი ცხოვრება

(შემდეგი *)

მე სულ სხვა ვარ, სულ სხვა მუშა
და სხვა გვარად მოღვაწეო:
ზეცის მუშას მ ეახიან,
არ ვარ მარტო სამიწეო.

აკაკი.

(უძღვნი ბუტკუნჩელა გოგი ვარლამისძეს ჭიჭინაძეს)

წერილი 4.

ფუტკრის გონიერება

ევრი ფიქრობდა, ვითომც ფუტკარი იყოს გონიერებას მოკლებული და მის შრომას არ სჭირდებოდეს ჭკუა და წინასწარ მოსაზრება; ვითომც რასაც ფუტკარი აკეთებს—აკეთებს ზეპირად, გონება-დაუტანებლივ, როგორც უბრალო მანქანა, მარტო ალღოს (ინსტიქტის) წყალობით და არა ჭკუისა, გრძნობისა და გონიერების შემწეობით, მაგრამ ეს რომ შემცდარი აზრია, დღეს უკვე მეცნიერებისაგან აღიარებულია. მეცნიერულმა გამოკვლევამ, სწავლულთა დაკვირვებამ და ფუტკრის ცხოვრების კარგად შესწავლამ დაამტკიცა: ფუტკრის გონიერება, ანგარიშიანობა, მომჭირნეობა, მიხვედრილობა; რომ ფუტკარი არ არის მოკლებული ისეთსავე გრძნობას, როგორც ბუნების მეფე-ადამიანი, პირიქით, ზოგიერთი

*) იხილე „ნაკადული“ № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობათაგანი ძრიელ განვითარებულიც აქვს, მაგალითად, ფუტკარს აქვს მშვენიერი

მხედველობა.

მხედველობის ორგანოთ ბუნებას მისთვის მიუცია წყვილი დიდი, რთული თვალი და სამიც უბრალო. რთული თვალი აქვს თავის ორივ გვერდზე; რთულს ეძახიან, რადგან თითოეული იმათგანი შესდგება ძრიელ ბევრ პაწაწა თვალუკებისაგან, მაგალითად, თითოეულ რთულ თვალში საგანთა გამადიდებელ „მიკროსკოპის“ შემწეობით ასეთ თვალუკებს 3,500-მდე სთვლიან. გარეგნულ შეხედულობით, რთული თვალი ექვს კუთხიანია, რომელთა შორის არის ძრიელ ნაზი, პაწაწა ბუსუსები. (იხ. სურ. ზ).



სურათი ზ. რთულის თვალის პატარა ნაჭერი ძლიერ გადიდებული.

უბრალო თვალი ფუტკარს აქვს სამი, გამწკრივებული შუბლის გასწვრივ ზევიდგან ქვევით და აქვს მოყვანილობა სამკუთხედისა (იხ. სურათი ვ). და არის სულ უბრალო შედგენილობისა.

დანიშნულება რთულისა და უბრალო თვალისა სხვა და სხვა ნაირია; ზოგ მეცნიერის აზრით, უბრალო თვალით ფუტკარს შეუძლიან გაარჩიოს მხოლოდ სინათლე სიბნელისაგან, რთულით-კი ათვალიერებს საგანს ყოველ მხრივ; ზოგიერთნი კი ამბობენ —უბრალო თვალი ფუტკარს სჭირია შორს გასაჭვრეტად, რთული-კი ახლო საგნის დასათვალიერებლადაო. ამას შემდეგ რაღა საკვირველია, თუ ფუტკარს აქვს მშვენიერი მახვილი მხედველობა; ფუტკრები მშვენივრად არჩევენ სხვა და სხვა ფერს. მაგალითად, წითელი ქაღალდი რომ ავიღოთ და ზედ დავაწვეთოთ რამდენიმე წვეთი თაფლი, თაფლს ფუტკრები თავიანთ ნაზის ყნოსვით მალე მიაგნებენ და დაიწყებენ თაფლის სკაში გადაზიდვას; შემდეგ რომ თაფლი გადავიტანოთ სხვა ფერის ქაღალდზე, მაგ. ლურჯზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ქაღალდიც ცარიელი იქვე დავტოვოთ, ფუტკრები პირველად მივლენ წითელ ქაღალდის სანახავად და, შემდეგ დათვალიერებისა, გადავლენ ლურჯზე. ეს მაგალითი იმას ჰნიშნავს, რომ კარგად დაიხსომეს, წითელ ქაღალდზე თაფლი იყო და ამიტომ მეორედაც იქ დაიწყეს ძებნა. რომ ფუტკარს არ ჰქონდეს ნიჭი მხედველობისა და არ შეეძლოს დახსომება, შენი მტერია, მათის საზოგადოების საქმე ცუდათ წავიდოდა. ამ ნიჭთა წყალობით ისინი კარგად არჩევენ და იხსომებენ იმ სკას, რომლის ოჯახობის წევრნი არიან და, როცა მინდვრიდგან საშოვარით დატვირთული ფუტკარი მივა, სწორედ თავის სკაში შეფრინდება. მხედველობის წყალობით არჩევენ და იხსომებენ სათაფლო ყვავილებსაც...


ა
ბ
ბ
ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეკარებიან—ეს ამტკიცებს, რომ გემოვნება აქვთ. თუ რა ორგანოს ხმარობს ფუტკარი გემოვნების გასარჩევად, ეს ჯერ არ არის მიგნებული, მაგრამ ცხადია, ეს ორგანო პირში აქვთ.

ყ ნ ო ს ვ ა

ყნოსვა ფუტკრებს მშვენიერი აქვთ. საფუტკრის მახლობლად რომ დავაწვეთოთ რამდენიმე წვეთი თაფლი, თავიანთ მახვილის ყნოსვით ძრიელ მალე მიაგნებენ. ყნოსვითვე არჩევენ თავიანთ ამხანაგ-დობილებს, წევრებს ერთ და იმავე საზოგადოებისას სხვებისაგან. ფუტკრებს ძრიელ უყვართ სასიამოვნო სუნი. შეგვიძლიან სასუნებელ წვეთებით (ნიშადურის სპირტით ან მაგარ ოდეკალონით) ფუტკრები კიდეც დავაძინოთ. ძრიელ ეჯავრებათ ოფლისა, ხახვისა, არაყისა და სხვა ამ გვარების სუნი. მაშასადამე, ფუტკარს ვინც უვლის, თუ უნდა, რომ ფუტკარმა შეიყვაროს, ტანთ სუფთად უნდა ეცვას, ტანს ხშირად იბანდეს და მასთან არ უნდა იყოს ლოთი.

აი, ჩემო მეგობრებო, უბრალო მწერი რა მშვენიერ ჩასაგონებელ მაგალითს გვაძლევს, ცხოვრებაში გამოსადეგს. სკასაც ძრიელ სუფთად ინახავენ: ბუნებრივ მოთხოვნილებისათვის სკის გარედ, მოშორებით მიდიან. ვერ ითმენენ ვერც უსუფთაობას და ვერც რაიმე ცუდს სუნს; მაგალითად, სკაში შეძვრა თაფლისა და სანთლის მტერი—თაგუნა, იცოცხლე, ფუტკრები შხამიან ისრით მალე გაგუდვენ, მაგრამ მისი გარედ გამოტანა არ შეუძლიანთ. ჯვრ ცოცხალის თაგვის სუნი რა არის და მძორისა რაღა სასიამოვნო იქნება. მეტი ჯანი არ არის, ძველ ეგვიპტელებივით, ვიდრე გაიხრწნებოდეს, უკეთებენ აკლდამას; ხელად დაფაცურდებიან, შეაგროვებენ დინდგილას (ფუტკრის წებოა, რომელსაც ხეებიდან აგროვებენ და ხმარობენ ჯუჯრუტანების ამოსაგლესად). და, როგორც კარგი ხუროთ-მოძღვრები, ყოველის მხრით შემოაგლესენ—ასე დაასამარებენ თაგუნას. დინდგილას ისეთი თვისება აქვს, რომ მასში ცუდი სუნი ვერ გაატანს.

მეორე მაგალითი. შეიძლება სკაში მოხვდეს ისეთი ფუტკარი, როგორიცაა ხარაბუზა ან ფუტკრების მტერი-დიდი ბუზი. ამათ აკლდამას არ უკეთებენ, დაეხვევიან და, რაც ისეთი რბილის (ხორცის) ნაწილია, ნაწილ-ნაწილ გამოსწიწკნიან და გარედ გადაჰყრიან; სკაში რჩება მარტო გამოხოხორიკებული უსულო კანი, რომელსაც აყროლება აღარ შეუძლია.—ასეთი სუფთა ხალხი გახლავთ ჩვენი მეთაფლია ფუტკარი.

თუ რომელია ყნოსვის ორგანო, ჯერ არც ეგ იციან, მაგრამ რომ ის ურევია ფუტკრის პაწია ულვაშებში, ეგ კი ცხადია;—ეს აიხსნება იმით, რომ ფუტკრებმა ულვაშების ქიცინით იციან სკაში შესვლის დროს უცხო ფუტკრის გამოცნობა.

შ ე ხ ე ბ ა

ფუტკრები არც შეხების ნიჭს არიან მოკლებულნი. შეხების ორგანოც ალბად ულვაშებში ურევია, რადგან შეხებაც ულვაშებით იციან. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ის ბუსუსები, რომლითაც ფუტკრის სხეულია შემოსილი, უნდა იყოს მგრძნობიარე და ასრულებს შეხების ორგანოს დანიშნულებას.

ს მ ე ნ ა

სმენაში ფუტკარი ქებულია. თვითონ ისინი ჰქმნიან სხვა და სხვა ხმას; გამოცდილ მეფუტკრეს იმათი ხმა მშვენივრად ესმის და იცის, რომელი ხმა რას ნიშნავს; მაგალითად, ფუტკრის ხმაზე მეფუტკრეს შეუძლიან გაიგოს, ოჯახობას დედა ფუტკარი ჰყავს თუ არა, თაფლი აქვთ თუ არა, მართვის გამოშვებას აპირებენ თუ არა. ფუტკარი რა გუნებაზეა, მშვიდად არის თუ გაჯავრებულია და საკბენად ემზადება. როცა ფუტკარს ადამიანი ან სხვა ვინმე გააჯავრებს, მაშინ ერთი ერთმანეთს ხმით ნიშანს აძლევენ და იწვევენ საერთო იერიშით თავდასაცველად. დედა ფუტკრის გალობა, მისი ტი, ტი, ტი! ან კვა, კვა, კვა! სხვებისაგან სულ ადვილი გასარჩევია. დაბეჯი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებით შეიძლება ითქვას, რომ ფუტკრის ხმა მათთვის ლაპარაკის მაგიერია. დამშვიდებულ ფუტკრების ბზუილი ანუ ხმა სხვებსაც ამშვიდებს, შეშფოთებული-კი სხვებსაც აბრაზებს და იწვევს სხვა დობილებს საშველად. ძველი დედა ფუტკარი მისთვის გალობს კვა, კვა, კვა-ს, რომ ამით ახალგაზრდა დედა გააბრიყვოს, შეაცდინოს და იმასაც დააწყებინოს თავისი გალობა ტი, ტი, ტი! რომ მერმე მეტოქის თავიდან მოსაშორებლად შესაფერი ღონისძიება იხმაროს.

როგორც სწავლულები ფიქრობენ, სმენის ორგანოც ულვაშებში უნდა იყოს.

ჩემო მეგობრებო, თუ ჩვენი საუბარი გულის ყურით მოისმინეთ და გონებაში აღიბეჭდეთ, მიხვდებოდით, რომ ფუტკრებს ჰქონიათ ყველა ის გარეგანი ხუთივე გრძნობა, რაც ადამიანსა აქვს. ეს გრძნობანი იმდენად განვითარებულია, რამდენადაც მათ რთული ცხოვრებისთვის საკმარისია. რასაკვირველია, ეს გრძნობანი იმდენად განვითარებული არ არის, როგორც განვითარებული აქვს, მაგალითად, ბუნების მეფეს ადამიანს, მაგრამ არც იმდენად ჩლუნგია, რომ უბრალო ალღო უწოდოთ (ინსტიტქტი). ამის მიხედვით და აგრეთვე იმის მიხედვით, თუ როგორ ხელოვნურად, როგორ ოსტატურად და მოხერხებით აკეთებენ ისინი სკაში თავიანთ მრავალ ფეროვან საქმეს, გაბედვით შეგვიძლიან უწოდოთ ფუტკრებს „გონიერი არსება“, ანუ გონიერი მწერი.

ალ. წულაძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

✝ ვლადიმირ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე

(ნეკროლოგი)

ბათს, 27 ივნისს, ნაშუადღევის 2 ნახევარ საათზე, აბასთუმანში გარდაიცვალა ჩვენის რედაქციის დამფუძნებელი, საზოგადო მოღვაწე და მწერალი ვლადიმირ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. ენით გამოუთქმელია ჩვენთვის მისი დაკარგვა, და არამც თუ ჩვენთვის, არამედ მთელის ჩვენის დაბეჩავებულ ერისათვის, რომლის საკეთილდღეოდაც დაუღალავად მუშაობდა განსვენებული.

ვლადიმირ ლორთქიფანიძე დაიბადა სოფ. დიდ-ჯიხაიშს 1872 წელს. სწავლა მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში; გიმნაზიის გათავების შემდეგ შევიდა ოდესის უნივერსიტეტში საისტორიო და საფილოლოგიო ფაკულტეტზედ. ნიჭიერმა და შრომის მოყვარე ახალგაზდამ დაიმსახურა ყურადღება პროფესორებისა, და სამეცნიერო კარიერას უქადიდნენ. თითონაც გატაცებული იყო იმ ხანად მეცნიერების შესწავლით და ამიტომ, უნივერსიტეტის მშვენივრად დასრულების შემდეგ, გერმანიაში გაემგზავრა, სადაც განაგრძო მეცნიერული შესწავლა ისტორიისა. მაგრამ ამ დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, ჭლექის ნიშნები გამოაჩნდა და სამშობლოში დაბრუნდა. აქ თითქოს მალე გასაღდა, მაგრამ სამეცნიერო მოღვაწეობის ფიქრს თავი დაანება, რადგან სულ სხვა აზრმა გაიტაცა. ეს აზრი იყო სამშობლოსათვის სამსახური; ვალოდიაც გულწრფელის სიყვარულით და ახალგაზდურის აღტაცებით შეუდგა იმ სამსახურს. იმ დღიდან დაწყებული ვალოდია დაუღალავად მუშაობდა ყოველ საზოგადო ასპარეზედ დიდის სინდისიერობით და გულწრფელობით. ვალოდია დაჩაგრულ ხალხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსარჩლე იყო და საქმითაც ამტკიცებდა ხალხისადმი წრფელ სიყვარულს.



ვლადიმირ ლორთქიფანიძე

განსვენებული ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. სწერდა უფრო პუბლიცისტურსა და ბიბლიოგრაფიულ წერილებს. თუმცა ასე მრავალ გვარად შრომობდა, მაინც დროს ჰპოვებდა კიდევ და ასწრობდა უცხო ენებიდან სამეცნიერო წიგნების თარგმნას. გადასთარგმნა ფრანგულიდან და გამოსცა ორი დიდი სამეცნიერო წიგნი: „საბერძნეთის ძველი ისტორია და „რომის ისტორია". მანვე შეადგინა და დააბეჭდვინა ცალკე წიგნად „პარნელი" და „საფრანგეთის დიდი რევოლიუცია" და ბევრი სხვაცა...

ჩვენო პატარა მკითხველებო! „ნაკადულის" რედაქციამ და თქვენ დავკარგეთ ყოვლად ღირსეული ადამიანი: განათლებული, ნიჭიერი და წრფელის გულით თქვენი მოსიყვარულე. განსვენებული სულ თქვენის გონივრულის საზრდოსათვის ფიქრობდა. რომ იცოდეთ, რა რიგ აღტაცებით მიეგება „ნაკადულის" პირველ ნომერს 1904 წ. 6 ნოემბერს! როგორც პატარა ბავშვს ისე უხაროდა. „ნაკადულის" დაარსებიდან, ვიდრე მძიმე ავადმყოფი არ შეიქმნა, თითქმის რედაქციის ყოველ კრებას ესწრებოდა და სულ იმ ზრუნვაში იყო, რითი და როგორ გაგვეუმჯობესებინა ჟურნალის საქმე; სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ფიქრში იყო, რომ, რაც შეიძლება, ხშირად გვებეჭდა ეროვ-
კე საბავშვო წიგნები, დედა-ენაზე საბავშვო მწერლობა გა-
გვემდიდრებინა. ზედ-მიწევნით იცოდა განსვენებულმა ბავ-
შვის სული და გული და მეტის-მეტად უყვარდა ბავშვები:
დიდის სიყვარულით მოგვითხრობდა ხოლმე ხშირად ბავშვის
ნაამბობს და, ამ დროს რომ დაგენახათ იმისი აციცინათებუ-
ლი, გაბრწყინვალებული თვალები დარწმუნდებოდით, რომ
იმის გულში ბავშვებისათვის დაუშრეტელი სიყვარულის წყა-
რო სჩქეფდა. «ნაკადულის» რედაქციის კრებაზედ რომ შე-
მოვიდოდა, სიცოცხლე და მხიარულება შემოჰქონდა. ქართუ-
ლის ანდაზისა არ იყოს, მის იქ ყოფნის დროს „კედლებიც
კი იცინოდნენ“.

ჩემო პატარა მკითხველებო! ხომ ჰხედავთ, ვინ დავკარ-
გეთ? ნამდვილი და გულწრფელი მეგობარი „თქვენი“ და „ნა-
კადულისა“. დავკარგეთ ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლო კი-
დევ მრავალი და მრავალი ცოდნა შეეძინა თქვენთვის.

«ნაკადულის» პირველ წლებში მშვენიერი პატარა წე-
რილები იბეჭდებოდა იმისი მითოლოგიიდან, აგრეთვე მოზრ-
დილთათვის—ისტორია-კულტურა, რამდენიმე კიდევ სხვა და
სხვა გვარი წერილი. სახელსა და გვარს არსად აწერდა, რა-
დგან თავის გამოჩენა არ უყვარდა.

იმედია, «ნაკადულის» პატარა მკითხველების გულში სა-
მუდამოდ დარჩება ძვირფას მეგობრის და ადამიანის სიყვარუ-
ლი. ვეცადოთ იმის ხსოვნას მით ვსცეთ პატივი, რომ მისებრ
წრფელი, სინდისიერი და დაუღალავი მუშაკნი მრავლად
აღიზარდნენ „ნაკადულის“ მკითხველთა შორის.

მ. დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარტოფილი

(თარგმანი)

ინ არ იცის კარტოფილი? ახლა მდიდარსაცა აქვს თავისს სუფრაზედ და ღარიბსაც. მაგრამ ის კი არ იცის ყველამ, თუ საიდან გაჩნდა კარტოფილი ჩვენში, და როგორ დიდხანს არ უნდოდა ხალხს იმისი გავრცელება.

ადამიანი ხშირად უფრთხის ახალს რასმე. კარტოფილსაც დიდხანს სთვლიდნენ „მავნებლად“ და, ასე გასიხ̄ჯეთ, „ცოდვიან სიბილწედ“; დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ იმის თესვასა და ყოველის გზით ერიდებოდნენ.

ამიტომ ურიგო არ იქნება მოვიხსენიოთ ეს სამწუხარო ამბები, რათა გონივრულის რამ ახალისა არ გვეშინოდეს, გონების თვალით განვიხილავდეთ ახალს, რომ ყოველივე ახალიც და ძველიც ჩვენისა და ჩვენის ხალხის სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

I

საიდან შემოვიდა კარტოფილი

თავდაპირველად კარტოფილი გაჩნდა შორს, შორის ზღვის იქით,—სამხრეთ ამერიკაში, პერუს.

იქაურებმა დიდის ხნიდან იცოდნენ კარტოფილის ფასი: კიდეც საზრდოობდნენ კარტოფილით და ზოგიერთს სენსაც არჩენდნენ იმითი. ჩვენა და ევროპის სხვა ხალხებმა („ევრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიელებმა"), არა თუ კარტოფილისა არა ვიცოდნენ, თვით ამერიკის სახელიც-კი ამ ოთხასიოდე წლის წინად გავიგონეთ პირველად. *) ევროპიელებმა რომ ამერიკა აღმოაჩინეს, ბევრი ისეთი მცენარე და პირუტყვი გადაზიდეს. იქა, რაც წინად არა ყოფილა ამერიკაში. წაიყვანეს ძროხები, ცხენები, ღორები. სამაგიეროდ, ზოგი რამ ევროპაშიაც გადმოიტანეს იქიდან: სიმინდი, თამბაქო... შემოიტანეს კარტოფილიც. ჯერ ერთმა ვაჭარმა შემოიტანა კარტოფილი ირლანდიაში. *) მაგრამ კარტოფილმა პირველად სარგებლობა ვერ მოიტანა. ჩქარა დაავიწყდათ კიდეც.

ცამეტის წლის შემდეგ, 1578 წელს, ამერიკაში მივიდა ინგლისელი მეზღვაური დრეკი. ჰნახა კარტოფილი და გაიგო, იქაურნი როგორ აფასებდნენ.

— მოდი გემზე წავიღებ ამ გორგლებს. ვინ იცის, იქნება გზაში გამომადგესო,—იფიქრა დრეკმა.

იმ დროს იალქნიანი გემები დადიოდნენ, მძიმედ მოგზაურობდნენ, გზას დიდს ხანს უნდებოდნენ. ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ მეზღვაურები მთელის თვეობით ხმელეთს ვერ დაინახავდნენ. ამიტომ სურსათი ბლომად უნდა ჰქონოდათ თანა და მერე ისეთი, რომელიც დიდხანს ინახებოდა. მეზღვაურები მთელის კვირაობით ერთსა და იმავე დამარილებულ ღორის ხორცით, ღორითა და ჩაჩხით, მუხუდოთი და ლობიოთი იკვებებოდნენ ყოველ დღე.

ამისთანა საზრდო სურავანდს უჩენდა და ასნეულებდა მეზღვაურებს. სურავანდი საზარელი სენია: ადამიანს სისუსტე ერევა, მუწუკები უჩნდება, კბილები სცვივა.

---

*) „ევროპიელები"—მცხოვრებნი არიან დედამიწის იმ ნაწილისა, რომელსაც ევროპა ეწოდება: ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები, ესპანელები, პორტუგალელები, ჰოლლანდიელები, დანელები, შვედები, ბერძნები და რუსები. რუსეთს უჭირავს ერთი ნახევარი ევროპისა და ერთს მესამედზედ მეტი სივრცე დედამიწის მეორე ნაწილის აზიისა.

*) ირლანდია დიდი კუნძულია. ახლა ინგლისს ეკუთვნის.

ძველს დროში ბევრი ხალხი იღუპებოდა გემებზე ხორცვანდითა. საუკეთესო წამალი ამ სენისა მცენარეულობაა: კომბოსტო, სალათა, მწვანილი, ხილი. მაგრამ ზღვაზედ სად იშოვით ამაებსა?!

დიდ ხანს იყო თუ ცოტა ხანს, დრეკი მიდიოდა ზღვაზე, მაგრამ ამისი მეზღვაურებიც ავად დახდნენ. რაც დღე გადიოდა, უარესობა ეტყობოდათ. მეზღვაურთა შორის უკმაყოფილებამ იჩინა თავი.

— აღარ გვინდა ზღვაზე ყოფნაო,—ეუბნებოდნენ დრეკსა,—ხმელეთისაკენ წაგვიყვანე. თუ ისე არ მოიქცევი, როგორც ჩვენ გვინდა, ცუდს დღეს დაგაყენებთო.

დრეკი შეფიქრიანდა. ნაპირისაკენ წასვლა ხელს არ აძლევდა. არა და რა უნდა ექნა ავადმყოფ მეზღვაურთათვის? მოაგონდა შენახული კარტოფილი.

— პერუს მცხოვრებნი ამბობენ, ზოგიერთს სენს კარტოფილით ვარჩენთო. იქნება სურავანდსაც არგოს?—გაიფიქრა დრეკმა და მეზღვაურებს კარტოფილის ძლევა დაუწყო. მეზღვაურებს მოეწონათ კარტოფილი, სიამოვნებით შეექცეოდნენ. და რამდენისამე ხნის შემდეგ უკეთაც შეიქმნენ. ზოგი სულაც მორჩა. უკმაყოფილებას აღარ აცხადებდნენ. ამასობაში დანიშნულს ადგილსაც მიაღწია დრეკმა. ამ გვარად, ისიც დაიხსნა კარტოფილმა და მეზღვაურებიც განკურნა.

მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ (1586 წელს) დაბრუნდა დრეკი თავისს სამშობლოში—ინგლისს. რასაკვირველია, კარტოფილიც თან მოიტანა. რამდენიმე თავი კარტოფილი თავისს მეგობარს მსწავლულ გერარდს გაუგზავნა დრეკმა.

— „გიგზავნით რამდენსამე გორგალს ახალის მცენარისას. ამისი ნაყოფი ისე გემრიელი და ნოყიერია, რომ, ჩემის ფიქრით, ფრიად სასარგებლო იქნება, ყველგან რომ გაავრცელებდნენ ამასაო“—სწერდა გერარდსა.

ამას გარდა, რამდენიმე კარტოფილი თავისს მეპაღესაც მისცა დრეკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დათესე ბაღში და კარგად უგდე ყურიო,—უბრძანა მებაღეს.

კარტოფილი მალე ამოვიდა, აჰყვავდა, ჩამოსჭკნა. ღეროებზე სათესლე მწვანე ვაშლები გამოესხა.

ჯერ ისევ წინად ეუბნებოდა ხოლმე დრეკი მებაღეს, ამ მცენარის ნაყოფი იჭმევაო. დაინახა თუ არა მებაღემ სათესლე ვაშლები, დაჭკრიფა და იგემა.

— რა საძაგლობაა! უქმად ჩამიარა შრომამაო,—სთქვა მებაღემ და სათესლე ვაშლები ბატონს წაუღო.

— აი, თქვენგან ნაქები ამერიკის მცენარის ნაყოფი! არაფრად არ ვარგა!

— ჰოო?—გაიღიმა დრეკმა.—თუ არ ვარგა, ახლავე ძირიან-ფესვიანად ამოთხარე და გადაჰყარე, რომ ტყუილად ადგილს არ აცდენდეს.

მებაღე შეუდგა მცენარის ამოთხრას, მაგრამ ყოველის ბუჩქის ძირას, ფესვთან, ურიცხვი იყო ისეთი თავები, როგორიც მან გაზაფხულზე დათესა.

— ბატონო, ბატონო! მიწაში არის რაღაცა! დაიყვირა მებაღემ.

— ვსინჯოთ, მოვხარშოთ ეგ გორგლები,—სთქვა დრეკმა. მოხარშეს, გაფქვნეს, მარილი მოაყარეს და გასინჯა მებაღემ.

— ბიჭოს, რა გემრიელი არის ეს გორგლები! არა, ბატონო, რად უნდა გადავყაროთ ასეთი კარგი რამ, დაე, იმრავლოს. სიამოვნებით მოუვლი.

—

ამ მებაღეზე მეტი გამჭრიახობა ვერც გერარდმა გამოიჩინა. დათესა დრეკისაგან გაგზავნილი კარტოფილები. კარტოფილი ამოვიდა, გაიზარდა, აჰყვავდა. შემოდგომაზე უკვე დამწიფდა ზედ გამოსხმული სათესლე ვაშლები. გერარდმა განკარგულება მოახდინა დაეკრიფათ ეს ვაშლები და სადილისათვის მოემზადებინათ; თვითონ კი ბევრი გამოჩენილი კაცი მიიწვია სადილად.

— ბატონებო, უცხო ქვეყნის საჭმლით გაგიმასპინძლდებით.—ეუბნებოდა სტუმრებს გერარდი.

სტუმრები მოუთმენლად ელოდებოდნენ უცხო სანოვაგეს. სადილის ბოლოს მოსამსახურეებმა თავ-დახურული ლანგარი შემოიტანეს.

— აი, ძვირფასო სტუმრებო, ეს უცხო რამ ჩემმა მეგობარმა დრეკმა გამოგიგზავნა. ამბობს, დიდს სიკეთესა და სარგებლობას მოიტანს, ეს რომ ინგლისში გაავრცელონო,— სთქვა მასპინძელმა.

მოსამსახურეებმა ლანგარს თავი აეხადეს და სტუმრებს წინ დაუდგეს კარტოფილის სათესლე ვაშლები. ვაშლები ძალზე მოხარშულიყო, ერბოთი იყო შეზავებული, ზედ ფხვნილი შაქარი და დარიჩინი ჰქონდა მოყრილი.

საპატიო სტუმრებმა გასინჯეს და ხელ-უხლებლად დასტოვეს თებშებზე. მეტად საძაგელი და გულის ამრევი გემო ჰქონდა.

— იქნება ამერიკაში გემრიელიც იყოს ეს ნაყოფი, ხოლო ჩვენებურს ჰავაში ვერა მწიფდებაო,—სთქვეს სტუმრებმა.

გერარდმა უბრძანა მებაღეს, რომ კარტოფილი ამოეთხარა და გადაეყარა სადმე.

რამდენისამე დღის შემდეგ გერარდი ბაღში დასეირნობდა. ერთ ადგილას ჩამქრალი მუგუზლები დაინახა. შეჰხედა, რომ ცივს ნაცარში რაღაც შავი კინკრიჟოვები ეყარა. აიღეს ერთი, მეორე; გასრისა ხელით... შიგნით რაღაც თეთრი იყო, ფქვილივით იფხვნებოდა.

— რა არის ესაო?—ჰკითხა გერარდმა მებაღეს.

— აი, ის მცენარე დავწვი, თქვენ რომ მიბრძანეთ, გადაჰყარეო.

— რა მცენარე?

— აი ის, უცხოური.

— მხოლოდ ახლა მიხვდა გერარდი, რა ნაყოფზედაცა სწერდა თავისი მეგობარი. სათესლე ვაშლები კი არა, ეს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიდან ამოღებული გორგლები უნდა მიერთმია სტუმრებისა თვის!

ხელმეორედ დაჰპატიჟა ყველანი, მოხარშა კარტოფილი და ერბოთი შეზავებული მიართვა.

ახლა კი მოიწონეს სტუმრებმა. იმათაც სთქვეს, საჭიროა ინგლისში გავრცელდეს კარტოფილიო. შეძლების დაგვარად სცდილობდნენ კიდეც იმის გავრცელებას, მაგრამ მაინც ცუდად მიდიოდა საქმე. ინგლისში კარტოფილი დიდ ხანს მიაჩნდათ ძვირფას საჭმლად, რომელიც მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ ჭქონოდათ.

თვით ინგლისის მეზობლად მდებარე კუნძულზე—ირლანდიაში—კარტოფილი ინგლისიდან კი არ შეიტანეს მეორედ, არამედ ისევ ამერიკიდან მიიტანა ერთმა მეზღვაურმა გერარდის ცდის შემდეგ ოცდა ათის წლის უკან და თავისს ბაღში დათესა. აქედან თანდათანობით გავრცელდა კარტოფილი ირლანდიაში. ახლა ირლანდიელები თითქმის მარტო კარტოფილით იკვებებიან.

II

როგორ შემოიღეს კარტოფილი გერმანელებსა და **ფრანგებში**.—გერმანელებშიაც დიდის ხნის განმავლობაში ვერ გავრცელდა კარტოფილი, აქაც მხოლოდ რამდენსამე ბოსტანში თუ იყო. ვინცა სჭამდა, მოსწონდა, ვინც არა და ეშინოდა—მაწყინარი ეგონა.

მაგრამ აი ასტყდა ომი (1745 წელს). ომს მოჰყვა მეორე უბედურობაც—შიმშილობა.

მეფე ფრიდრიხმა დიდის საფასით გამოიწერა კარტოფილი მეზობელ ხალხისაგან და ბლომად დაჰგზავნა თავის სამეფოს სხვა და სხვა ადგილებში, რათა გლეხებს დაეთესათ მინდვრებში.*) ამასთანავე ყველგან დაარიგა დაბეჭდილი ფურ-

*) ფრიდრიხ II პრუსიისა, რომელსაც პრუსიელებმა „ფრიდრიხ დიდი უწოდეს.

ცლები, თუ როგორ უნდა დაეთესათ კარტოფილი და როგორ უნდა მოევლოთ მისთვის. მაგრამ გლეხებმა არა თუ არ დასთესეს, ხელიც არ ახლეს კარტოფილსა.

— პურიც კი არა გვაქვს სამყოფი და კარტოფილისათვის მიწის მოცდენას გვიბრძანებენო!—ამბობდნენ.

ფრიდრიხმა სცადა ძალად, ჯარისკაცთა დახმარებით, დაეთესვინებინა გლეხებისათვის კარტოფილი, მაგრამ აქედანაც არა გამოვიდა-რა.

—„ვხედავ,—სწერდა ჭკვიანი ფრიდრიხი—ძალდატანებით არა მოგვარდება-რა. საჭიროა გონივრულის ახსნითა და მაგალითებით დაარწმუნოთ გლეხები, რომ კარტოფილი სასარგებლოა“. ამასთანავე მღვდლებსა, ადგილობრივ მთავრობასა და მოხელეებს დაავალა ხალხის ჩაგონება.

სწორედ უბედურება იყო: გერმანელთა მღვდლები და იმ დროის მოხელენი თვითონაც მავნებლადა და საწამლავად სთვლიდნენ კარტოფილსა და ამიტომაც ვერავის ვერა შეასმინეს-რა.

აფიცრები, ომის დროსაც-კი, დიდხანს უკრძალავდნენ ჯარის-კაცებს კარტოფილის ჭამას.

— „დაიხოცებითო“—ეუბნებოდნენ.

მარტო შიმშილმა აიძულა გლეხებიცა და ჯარის-კაცნიც მიჰკარებოდნენ კარტოფილსა. და რაკი ერთი და ერთი იგემეს, დარწმუნდნენ, რომ ძალიან გემრიელი საჭმელი იყო და არავითარი წყენა არ შეეძლო.

ომი მიწყნარდა, შიმშილობამ გაიარა, ხოლო კარტოფილის ჭამას-კი თავი არ დაანებეს. ახლაცა სჭამენ და მოსწონთ; წიგნებსა და გაზეთებში სწერენ, როგორ უნდა კარტოფილის დათესვა, როგორ უნდა გემრიელად მომზადება, რაგვარად კეთდება იმის მიმატებით წვნიანი საჭმელი, კლოკი, ხავიწი და სხვა.

—

საფრანგეთში კარტოფილი პირველად 1616 წელს შემოიღეს. კარტოფილმა თითქოს ჩქარა დაიჭირა კიდეც საპა-

ტიო ადგილი, მაგრამ მცირეს ხნით. როგორც დიდად ეშვიანი
რამ, მეფის სუფრაზე მიიტანეს, ხოლო იმის გავრცელებას-
კი არა სცდილობდნენ.

— უცხო ქვეყნის მცენარე ბატონების საქმეა, ჩვენთვის
კი გამოუსადეგარია—ამბობდნენ ფრანგები.

მაგრამ 1769 წელს საფრანგეთსაც ეწვია შიმშილობა.
პური არ მოვიდა. ხალხი გალატაკდა. დიდი ჯილდო დანიშ-
ნეს იმისთვის, ვინც პურის სამაგიეროდ რაიმე საჭმელს ალ-
მოაჩენდა. ჯილდო მისცეს ფრანგს პარმანტიეს. პარმანტიემ
უჩვენა ისეთი საშუალება, რომ სახამებლის გამოწურვა შეი-
ძლებოდა იმ მცენარიდან, რომლიდანაც წინად ვერ აკეთებ-
დნენ სახამებელს. აი, ამ სახამებლისაგან ხარშავდნენ საჭმელ
ფაფას. მაგრამ ხალხის გასაჭირს ბევრი ვერა არგო რა ამ სა-
შუალებამ.

თვითონ პარმანტიეც ვერ იყო კმაყოფილი თავის ალმო-
ჩენით. სხვა ღონისძიების გამოძებნას შეუდგა, კარტოფილს
წააწყდა და დაჟინებით დაუწყო ყველას რჩევა, ეს ნოყიერი
მცენარე ბლომად მოიყვანეთო. მაგრამ ხალხს გასაგონადაც-
კი არ უნდოდა „უცხო ქვეყნური შხამიანი მოგონება“.

— აბა, რა შხამია მაგაში?—ეკითხებოდა პარმანტიე.—
მეზობელი ხალხები სჭამენ და მოსწონთ, ჩვენ-კი, ფრანგები,
გავიძახით „შხამი და შხამიო“.

პარმანტიემ გამოიკვლია, რისაგან შესდგებოდა კარტო-
ფილი და წიგნი დაბეჭდა იმის შესახებ.

— შესაძლებელია მაინც არ მერწმუნოს ხალხი.—ფიქ-
რობდა იგი—აი დიდკაცობა რომ გამოესარჩლოს კარტო-
ფილსა, რომ დაიწყონ იმის მოყვანა და ჭამა... მაშინ ჰნა-
ხავდა უბრალო ხალხი, რომ კარტოფილი მავნებელი არ არის.

მაგრამ როგორ უნდა მოეხერხებინა, რომ დიდკაცობას
ყურადღება მიექცია კარტოფილისათვის?

პარმანტიე ცნობილი კაცი იყო. თვით მაშინდელი მეფე
საფრანგეთისა ლუდოვიკო მეთექვსმეტე იცნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სწორედ მეფეს მიჰმართა პარმანტიემ.

— თქვენო უდიდებულესობავ, დროებით მოგეცეთ რომელიმე ნაჭერი ქვიშიანის მიწისა. სულ ერთია, ქვიშაში ხომ არაფერი მოდის და მე-კი მინდა ვცადო, კარტოფილი დავთესო. კარტოფილი პურის მაგიერობას გასწევს და შიმშილს გადაარჩენს ხალხსა,—უთხრა მეფეს პარმანტიემ.

— განა ქვიშიან მიწაში რამე იხეირებს? გაიცინა მეფემ.

— ვსინჯავ, თქვენო უდიდებულესობავ.

პარმანტიემ მიიღო მიწის ნაჭერი. ლბრძანა მოეხნათ მწირი მიწა. ამ მიწას მიაბარა ძვირფასი კარტოფილი.

კარტოფილი გაიზარდა და სანაქებოდ აჰყვავდა. სიხარულით აღტაცებულმა პარმანტიემ დაჰკრიფა კარტოფილის ყვავილები, შეჰკრა კონა და სასახლისკენ გაჰქანდა, რომ მეფისათვის მიერთმია ლამაზი ყვავილები.

სასახლის ქალნი და კაცნი დაცინვით შესცქეროდნენ ამ „უცნაურ“ კაცსა, რომელსაც მეფისათვის „რაღაც ყვავილების“ მირთმევა უნდოდა.

— რად უნდა მეფეს ეგ ყვავილები? გადაჰყრის! მაგრამ მეფემ მოწყალედ მიიღო ყვავილი და თავის ტანსაცმლის ღილკილოში გაიკეთა. ამის შემდეგ დედოფალი ერთს დიდს დღესასწაულს დაესწრო; ხელში კარტოფილის ყვავილთა კონა ეჭირა და ლამაზად გადავარცხნილს თმაშიაც კარტოფილის ყვავილები ჰქონდა გაკეთებული. და აი, იმავე სასახლის დიდებულთ, რომელნიც „უცნაურს“ პარმანტიეს დასცინოდნენ, თვითონაც ინებეს კარტოფილის ყვავილებით მორთვა.

ყვავილის შემდეგ მთელს მცენარესაც პატივი დაედო. მთელს საფრანგეთში ამბობდნენ: უცხოური მცენარე დიდს პატივდებაშია მეფისაგანაო!.. ახლა ყველა დიდკაცობა იკეთებს კარტოფილის ყვავილებსაო.

— რა არის ეს კარტოფილი?

— ნეტავი სადმე მაჩვენა ეს საკვირველებაო! —გაიძახოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ხალხი იკრიბებოდა პარმანტიეს კარტოფილიან ადგილის სანახავად.

პარმანტიემ მცველებს უბრძანა, გარს შემორტყმოდნენ ამ ადგილს და ახლო არავინ მიეკარებინათ.

— ვინ იცის, იქნება გაიტაცონ ჩემი ბუჩქები.—ამბობდა პარმანტიე,—იქნება ამოთხარონ კიდეცა და თავიანთს ბაღში გადარგონ. კარგად უდარაჯეთ!—მაგრამ მცველები შინ იპარებოდნენ ხოლმე ღამ-ღამობით.

ერთ დილას მცველები თავიანთ სადარაჯო ადგილას დაბრუნდნენ... ბაღში ცუდად იყო საქმე!.. გაიქცნენ პარმანტიესთან და შესჩივლეს:

— ურიცხვი ბუჩქები ამოუთხრიათ მიწიდანაო.—ეგონათ გაჯავრდება ბატონი, მაგრამ ასე არ მოხდა.

— მადლობა ღმერთსაო!—სიხარულით წამოიძახა პარმანტიემ. რაკი ჩუმად წაუღიათ, სჩანს დასჭირდათ ჩემი ბუჩქები, უნდათ დარგონ. აღარ ეშინიანთ, შხამიან ბალახად აღარ მიაჩნიათ... მცველებო, სწორედ ამიტომ დაგაყენეთ ბაღის მცველებად, რომ ხალხს უფრო გაცხოველებოდა კარტოფილის შოვნის სურვილი. კარტოფილი-კი სრულიად არ მენანებაო.

პარმანტიეს სიხარული უსაფუძვლო არ იყო. კარტოფილის ბუჩქები მართლაც ხან აქ ჩნდებოდა ხან იქა.

პარმანტიეს კარტოფილი დამწიფდა. გამოჩენილი კაცები დიდის ამბით ელოდებოდნენ, როდის დაიწყებდნენ იმის ამოთხრას.

და აი დაიწყო კიდევაც რთველი. მუშები თხრიდნენ, ხოლო ბატონები იდგნენ, უყურებდნენ და უკვირდათ, რამდენი კარტოფილი გაჩენილიყო თითოეულის ბუჩქის ძირსა.

პარმანტიემ სადილი გამართა. ბევრი სტუმრები მიიწვია. ყოველი საჭმელი კარტოფილისა მოამზადებინა, ღვინოც-კი კარტოფილისა გამოაწურვინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ ცოტ-ცოტაობით უფრო იჩინა თავი კარ-ტოფილმა ფრანგთა მინდვრებში. მაგრამ პარმანტიერ მაინც დიდს ხანს არა სცხრებოდა. დაჟინებით სწერდა და ლაპარაკობდა თავისს საყვარელს კარტოფილზე მთელის ორმოცის წლის განმავლობაში, ვიდრე გული არ დააჯერა, რომ კარ-ტოფილმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი საფრანგეთში.

ახლა მთელს საფრანგეთში მოჰყავთ კარტოფილი.

განდეგილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდევი-ეგოისტი

ოსკარ უაილდისა

(თარგმანი)

ყოველ დღე, გაკვეთილების გათავების შემდეგ, ბავშვები მიდიოდნენ მდევის ბაღში სათამაშოდ.

ეს იყო მშვენიერი დიდი ბაღი, სქლად ამოსულ რბილის ბალახით. ბალახებში ვარსკვლავებივით კამკამებდნენ აქა-იქ გაბნეული ყვავილები, ხოლო პატარა კორდზედ ამოსულიყო ატმის თორმეტი ხე. გაზაფხულზედ ყველა ნაზ, თეთრ და ვარდისფერ ყვავილებით იმოსებოდა, შემოდგომობით კი მოჰქონდათ მრავალი ნაყოფი. ფრინვლები ბუდობდნენ მათ ტოტებშორის და ისე ტკბილად გალობდნენ, რომ ბავშვები თავს დაანებებდნენ ხოლმე თამაშობას და იმათ უგდებდნენ ყურს.

— რა კარგია აქა! — აღტაცებულნი ეუბნებოდნენ ისინი ერთმანეთს.

მაგრამ მდევი დაბრუნდა სახლში. მთელი შვიდი წელი იყო სტუმრად თავისს მეგობარ კორნვალიის კაცი-მჭამელთან. ამ ხნის განმავლობაში სუყველაფერი უამბეს ერთმანეთს, რაც

სათქმელი ჰქონდათ, სალაპარაკო მასალა შემოელიათ, და მდევმა გადასწყვიტა თავისს საკუთარ კოშკში დაბრუნება. ბალი, რველი, რაც მან დაინახა სახლში დაბრუნებისას, მის ბაღში მოთამაშე ბავშვები იყო.

— თქვენ აქ რას აკეთებთ? —დაუყვირა საზარელის ხმით. ბავშვებს შეეშინდათ და გაიქცნენ.

— ეს ბაღი ჩემია, მე მეკუთვნის,—სთქვა მდევმა,—მგონი ეს ყველას უნდა ესმოდეს, და ჩემს მეტი ვერავინ გაჰბედავს შიგ თამაშობას.

მდევმა ბაღს მაღალი ზღუდე შემოავლო და ზედ წააწერა: „კერძო საკუთრების უფლების დამრღვეველნი კანონის ძალით დაისჯებიან“. მდევი დიდი, სასტიკი ეგოისტი იყო.

ამას შემდეგ საბრალო ბავშვებს სათამაშოდ ადგილი აღარა ჰქონდათ. შინჯეს თამაშობა გზაზედ, მაგრამ იქაურობა სავსე იყო მტვრითა და წვეტიანის ქვებით. გაკვეთილების გათავების შემდეგ, ისინი ხშირად უვლიდნენ გარს მაღალ ზღუდეს და იგონებდნენ მშვენიერ ბაღს.

— რა ბედნიერები ვიყავით მაშინ!—ნაღვლიანად ამბობდნენ ისინი.

დადგა გაზაფხული და მთლად არე-მარე დამშვენდა ათასფერ ყვავილებით და გაცხოველდა პატარა ჩიტების ჟივილ-ხივილით. მხოლოდ გულ-ძკირა მდევის ბაღში ისევ ზამთარი მეფობდა,—ფრინვლებს არ უნდოდათ დაეტკბოთ იგი თავის სიმღერით, რადგანაც ბავშვები არ მოსჩანდნენ იქ; ხოლო ხეები ვერა ჰბედავდნენ გაშლას. ერთხელ საუცხოვო ყვავილმა გამოჰყო ბალახიდგან თავი, მაგრამ, დაინახა რა სასტიკი წარწერა კედელზედ, აივსო შეურაცხყოფით ბავშვების გამო, ჩაიმალა ისევ მიწაში და კვლავ დაიძინა. მდევის განკარგულების ერთად-ერთ დამფასებლად იყვნენ თოვლი და ყინვა.

— გაზაფხულმა დაივიწყა ეს ბაღი,—სიხარულით ამბობდნენ ისინი,—სამაგიეროდ ჩვენ ვიცხოვრებთ აქ მთელს წელს.

თოვლმა თეთრი ზეწარი გადააფარა მთლად ბაღსა. ყინვამ ვერცხლის ფერ რთვილით მოართო ხეები. მოიწვიეს სტუმრად ჩრდილოეთის ქარი, და იმანაც არ დაიგვიანა მისვლა: მთელი დღე უბერავდა ბაღში, საზარლად ზუზუნებდა და ღმუოდა, და სახლის ბანზედ ბუხრის მილებს აგურს აცლიდა.

— ეს მშვენიერი ადგილია,—სთქვა მან,—სეტყვაც მოიწვიეთ სტუმრად.

მოვიდა სეტყვაც. ყოველ დღე სამი საათის განმავლობაში ურახუნებდა კოშკის სახურავს, სანამ თითოეული კრამიტი არ ჩაამტვრია; შემდეგ მთელის თავისის სისწრაფით გარს უვლიდა ბაღსა. ნაცრის ფრად ეცვა და ყინულივით ცივი სულთქმა ჰქონდა.

— ვერ გამიგია, გაზაფხულმა ასე რად დაიგვიანა!—ამბობდა ეგოისტი-მდევი, იჯდა რა ფანჯარასთან და უცქეროდა თავისს მთლად გაყინულ-გათეთრებულს ბაღსა.—იმედია, ჩქარა გამოიდარებს.

მაგრამ არც გაზაფხული და არც ზაფხული არ მოდიოდა. შემოდგომამ მოიტანა ოქროს ფერი ნაყოფი ყველგან, მდევის ბაღის გარდა.

და ასე, იქ სულ ზამთარი იდგა, და ჩრდილოეთის ქარს, სეტყვასა და ყინვას ფერხული ჰქონდათ დაბმული.

ერთ დილას ის იყო გამოეღვიძა მდევს და ჯერ ისევ ლოგინში იწვა, რომ უცბად რაღაც მშვენიერი მუსიკა მოესმა. მუსიკა ტკბილად უალერსებდა მისს სმენას. „ეს ალბად მეფის მემუსიკენი მიდიან ახლოს,“—გაიფიქრა მან. ნამდვილად კი პატარა ჭვინტა ჭიკჭიკობდა იმის ფანჯრის ახლოს, მაგრამ მდევს ისე დიდ ხანს არ გაეგონა თავის ბაღში ფრინვლის ჭიკჭიკი, რომ ჭვინტას ჭიკჭიკი საუკეთესო მუსიკად მოეჩვენა. ცოტა ხანს შემდეგ, სეტყვამ მდევის თავზედ თავისი ცეკვა და ქარმა თავისი ღმუილი გაათავა. გაღებულ ფანჯრიდან ჰაერი შემოიჭრა და მან იგრძნო ნაზი სურნელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მგონი ახლა-კი გაზაფხული დადგა,—სთქვა მდევმა, წამოხტა ფიცხლავ ტახტიდან და ფანჯარაში გაიხედა.

და რა დაინახა?

თვალ-წინ წარმოუდგა მშვენიერი სურათი: ბაღის კედელში პატარა ბავშვებს ეპოვათ ერთი ოდნავ გამონგრეული ადგილი და იქიდან გადამძვრალიყვნენ ბაღში. ახლა ისინი ხეებზედ ისხდნენ. ყოველ ხეზედ, რომელიც შეეძლო თავისი ფანჯრიდან დაენახა მდევს, თითო პატარა არსება იჯდა. ხეებს კი ისე გაუხარდათ ბავშვების დაბრუნება, რომ თვალის დახამხამებაზედ შეიმოსნენ ყვავილებით და მხიარულად არხევდნენ თავისს ტოტებს სტუმრების პატარა თავებზედ; ფრინველები მხიარულად დაფრინავდნენ და აღტაცებით ჭიკჭიკობდნენ; ყვავილები კიდევ ბალახებიდან ალერსიანად იღიმებოდნენ. საუცხოვო სანახავი იყო. მხოლოდ ერთს კუთხეში-კი ისევ ზამთარი იდგა. ის კუთხე ბაღის სულ მოშორებული ადგილი იყო. ხის ქვეშ იდგა პატარა ბავშვი, ეტოტინებოდა, ვერა სწვდებოდა ხის ტოტებს, მწარედ სტიროდა და აქეთ-იქით იცქირებოდა. საბრალო ხეც ისევ რთვილითა და თოვლით იყო შემოსილი, ხოლო ქარი მის თავზედ კვლავ საზარელის ღმუილით ჰქროდა.

— ამოფოფხდი, ბავშვო!—ეუბნებოდა ხე და დაბლა ჰხრიდა თავის ტოტებს. მაგრამ ბავშვი მეტის-მეტი პატარა იყო.

მდევის გული უცბად მოლბა.

— რა ეგოისტი ვიყავი!—სთქვა მან,—ახლა მესმის რად დაივიწყა გაზაფხულმა ჩემი ბაღი. შევსვამ ამ პატარა ბავშვს ხის წვერზედ, დავაქცევ კედელს და ჩემი ბაღი სამუდამოდ ბავშვების ბინად გახდება.

მართლა ნანობდა იმას, რაც აქამდე მოექმედნა.

და აი ჩამოვიდა კიბეზედ, ჩუმად გააღო კარი და გავიდა ბაღში. ბავშვებს მის დანახვაზედ შეეშინდათ და გაიქცნენ, და ბაღმაც კვლავ მიიღო ზამთრის სახე. მხოლოდ პატარა ბავშვი დარჩა თავისს ადგილას: თვალები ცრემლებით ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სავსე და ვერ შეამჩნია მიმავალი მდევი. მდევმ ფეხ-კიბეზედ მიეპარა, ფრთხილად აიყვანა ხელში და შესვა ხეზედ. ხე უცბად გაიშალა, ფრინვლები ჭიკჭიკით მიფრინდნენ. ბავშვმა გაიწოდა თავისი პაწაწა ხელები, მოჰხვია მდევს კისერზედ და აკოცა. რა დაინახეს სხვა ბავშვებმაც, მდევი აღარ ჯავრობსო, მოირბინეს უკანვე. და მათთან ერთად დაბრუნდა გაზაფხულიც.

— ახლა ეს ბაღი თქვენია, ბავშვებო!—უთხრა მდევმა, აიღო დიდი წერაქვი და დაანგრია კედელი. შუადღისას სავაჭროდ მიმავალი ხალხი ჰხედავდა, როგორა თამაშობდა მდევი ბავშვებთან ამ უმშვენიერესს ბაღში.

მთელი დღე თამაშობდნენ ბავშვები და საღამოთი მოვიდნენ მდევთან გამოსამშვიდობლად.

— თქვენი პატარა ამხანაგი რაღა იქნა?—ჰკითხა მდევმა,—მე რომ ხეზე შევსვი, ის ბავშვი?—იმ კოცნისთვის მდევმა ის ბავშვი ყველაზედ მეტად შეიყვარა.

— არ ვიცით,—უპასუხეს ბავშვებმა,—წავიდა.

— უთხარით, ნუ ეშინიან და ხვალ აქ მოვიდეს,—უთხრა მდევმა.

მაგრამ ბავშვებმა უპასუხეს, არ ვიცით, სადა სცხოვრობს და წინადაც არასოდეს არ გვინახავსო. მდევი დიდად დაღონდა.

ყოველ დღე გაკვეთილების შემდეგ ბავშვები მიდიოდნენ მდევთან სათამაშოდ, ხოლო პატარა ბავშვი, რომელიც ისე შეუყვარდა, აღარა სჩანდა. მდევი ყველა ბავშვებს კეთილად და ტკბილად ექცეოდა, მაგრამ თავისს პირველ პატარა მეგობრისთვის ძალიან ნაღვლობდა და ხშირად, როცა აგონდებოდა, იძახდა:

— ნეტავი ერთი კიდევ მაჩვენა ის ბავშვიო!

გაიარა კარგა დრომ. მდევი მოხუცდა და მოუძლურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშობა ბავშვებთან აღარ შეეძლო, მაგრამ მაინც ყოველთვის იჯდა თავისს ვეებერთელა სავარძელში, უცქეროდა, როგორ მხიარულობდნენ და თამაშობდნენ ბავშვები და სტკბებოდა მათის და თავის ბაღის ცქერით.

— ბევრი მშვენიერი ყვავილი მიდგია,—ამბობდა ხშირად,—მაგრამ ბავშვები იმათზედ მშვენიერები არიან.

ერთს ზამთრის დილას, ტანთ რომ ჩაიცვა, გაიხედა თავისს ფანჯრიდგან.

ახლა ზამთარი ისე აღარ სძულდა: იცოდა, რომ ზამთარი გაზაფხულის ძილი იყო და რომ ყვავილები მხოლოდ ისვენებენო.

უცბად გაკვირვებულმა თვალები გააჭყიტა. ბაღის სულ მოშორებულ კუთხეში იდგა მთლად ნაზი, თეთრი ყვავილებით შემოსილი ხე; მის ოქროსფერ ტოტებიდგან გამოიყურებოდა ვერცხლებრივი ნაყოფი, ხოლო იმ ხის ქვეშ იდგა ის პატარა ყმაწვილი, რომელიც ისე ძალიან უყვარდა მდევსა.

აღტაცებული და გახარებული მდევი გამოვარდა გარედ და მივიდა ბავშვთან. მიუახლოვდა რა, მდევი მთლად წამოწითლდა სიბრაზით.

— ვინ გაბედა შენი ხელის ხლება?

ბავშვის ხელის გულები ლურსმნით იყო დაწყლულებული. ასეთივე ჭრილობა ემჩნეოდა ფეხებზედაც.

— ვინ გაბედა შენი დაჭრა?—ყვიროდა მდევი,—მითხარი, ავიღებ ჩემს დიდს ხმალს და სულ ლუკმა-ლუკმა ვაქცევ შენს დამჭრელს.

— ნუ, ნუ!—უპასუხა ბავშვმა,—იმიტომ რომ ეს სიყვარულის ჭრილობაა.

— ვინა ხარ? —ჰკითხა მდევმა. საუცხოვო, არა-ჩვეულებრივმა მოწიწებამ მოიცვა მთლად მისი არსება და მან ბავშვის წინ მუხლი მოიყარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვმა გაუღიმა მდევს და უთხრა:

— ერთხელ თამაშობის ნება მომეცი შენს ბაღში, დღეს წამოხვალ ჩემთან ჩემს ბაღში, რომელსაც სამოთხე ჰქვიან.

იმ დღეს მოსულმა ბავშვებმა აყვავებულ ხის ძირში ჰნახეს მიცვალებული მდევი.

გ. ნამორაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი გმირი

ნ. ულიხისა

1504 წელს ფრანგები და ესპანელები იტალიის დაპყრობას ეცილებოდნენ ერთმანეთს. ფრანგების გმირი ბაიარდი, თავის ჯარით დაბანაკებული ერთ პატარა ქალაქში ნეაპოლის მახლობლად, ცუდ გუნებაზე იყო ერთხელ. არა ნაკლებ დაღონებულიყო იმისი მამაცი მეგობარიც—პოზდალი.

— უნდა გითხრა, მეგობარო, რომ მომწყინდა ეს რაინდული ცხოვრება,—ბუზღუნებდა პოზდალი:—თავი მომაბეზრა აბჯრისა, ხმლისა და ჩაჩქანის თრევამა და ჩხრიალმა... ამასთან რაღა დავმალო, გავტყდი კიდეც, აგერ თმაში თეთრიც გამომერია!.. ვემსახურე საკმაოდ სამშობლოს და ახლა მოსვენების დროა!.. შეძლება რომ მქონდეს, დღესვე დავანებებდი თავს სამსახურს და დავუბრუნდებოდი ჩემს მიწა-წყალს, ჩემ სახლ-კარს... მაგრამ სად არის! ომი არაფერს არ აძლევს მეომარს ჭრილობების მეტსა!.. მე მაინც ისეთ ვარსკვლავზედა ვარ დაბადებული და ისეთი წყეული ბედი დამყოლია, რომ არ მახსოვს ჩემ სიცოცხლეში—რაიმე ნადავლი ჩამვარდნოდეს ხელში; რა საქმესაც კი დავდგომივარ, ყოველგან აუცილებლად განსაცდელი მრგებია წილად, მაშინ როდესაც ჩემს ამხანაგებს რაიმე ქონება ჩავარდნიათ ხელში!.. ჯერ ჩემთვის ბედს არ გაულიმნია!..

ერთ საღამო ჟამსა, როცა ასე და ამაზე უარესად ემდუროდა ბედს და სწუხდა სამშობლოს მოშორებას, თავს წაადგა ერთი გლეხი კაცი, მიესალმა მეომრებს, თავი დაბლა დაუკრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მერე მიუბრუნდა ბაიარდს, რომელზედაც გული ეტრფო, მიენდობოდა:

— აბა, გამოიცანით, მოწყალეო რაინდო, ვის შევხვდი მე ამ საათში?

— საიდან გამოვიცნო! ან ვის შეხვდებოდი, თუ არა ხალხს!

— დიაღ, ხალხს, რასაკვირველია, მაგრამ როგორს ხალხს?

— როგორს ხალხს და ჩვეულებრივს, რომელიც ყოველთვის მიდი-მოდის, ზოგი ცხენითა და ზოგი ფეხითა.

— ვერ მიხვდით, განათლებულო რაინდო! მე შევხვდი შეიარაღებულ ხალხს... ჯარის კაცებს!..

— ვის ჯარის კაცებს? ფრანგებისას?

— არა, ესპანელებისას... და ცოტას კი არა, ბევრს! ზედ გვერდზე გაუარე... დაბანაკებულიყვნენ ერთ ალაგას და საქმელს ხარშავდნენ... იმათში ურევია ერთი მშვენიერად ჩაცმული, ზორბა, წითური, სამ-კეც ლაბაბიანი კაცი, რომელსაც დიდის მოწიწებით ეპყრობოდნენ და „ბატონო ხაზინადაროს“ ეძახდნენ; ის იჯდა საბარგო ეტლზე და გარშემო სავსე ტომრები ეწყო! იცით, როგორი ტომრები? უბრალო კი არა, შვრიისა, ქერისა ან სხვა ხორბლეულისა! არა, ლამაზი ტყავის პარკები.

ბაიარდმა მოისმინა ყურადღებით ტალიელის ლაპარაკი; პოზდალს თვალები აენთო სიხარბით...

— როგორც გავიგე, ხაზინადარი ნეაპოლიდან მოდის და თან ოქრო მოაქვს ესპანიის ჯარისთვის დასარიგებლად, რომელიც დაბანაკებულია ბარლეტას მახლობლად; „ბატონმა ხაზინადარმა“ აქეთკენ უნდა გამოიაროს. გზა ორად იყოფება: ერთი მიდის ტყე-ტყე, მეორე კი — მდინარის პირას. რომელ გზას აირჩევს,—არავინ იცის. ის კი ნამდვილია, რომ ხვალ დილა ადრიან ან აქეთ გამოივლიან ან იქით ისინი, ესეიგი, ხაზინადარი ოქროთი სავსე პარკებით და იმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მცველი ჯარის კაცნი!—სთქვა გლეხმა ესა და გაუდგა გზას.

გმირები უკან დაბრუნდნენ. ბაიარდმა განკარგულება მისცა ჯარს მომზადებულიყო. ბაიარდის ჯარი სულ 50 კაცისაგან შესდგებოდა გაჰყო იგინი ორ ნაწილად, ნახევარი თავისკენ დააყენა და მეორე ნახევარი—პოზდალის უკან.

— აირჩიე, მეგობარო, რომელიც გინდა და წადი, საითკენაც გსურს: გინდ ტყეში ჩაუსაფრდი, გინდა ღელეში.

— მე ტყე ამირჩევია!—მიუგო პოზდალმა.

— კეთილი! გზა მშვიდობისა!.. ღმერთმა გამარჯვებით გატაროს და ქონების პატრონი გაგხადოს!

— ეგ სწორედ კარგადა სთქვი!—მეც მაგრე მესმის: როცა ვინმე ქონებას წააწყდება, მარტო მისს საკუთრებას უნდა შეადგენდეს და სხვას ნება არა აქვს წილი მოსთხოვოს!..

ბაიარდი გააკვირვა ამ სიტყვებმა, მაგრამ არ გააგებინა თავისი განცვიფრება ამხანაგს.

— რასაკვირველია! ეგრეც უნდა იყოს!—მიუგო მან და გაშორდნენ ერთმანეთს...

პოზდალი გაემართა ტყისაკენ, ხოლო ბაიარდი—მდინარისაკენ.

მივიდა ბაიარდი იმ ალაგას, სადაც გადმოკიდებული იყო მაღალ ჯაგებით შემოსილი ორი ციცაბო კლდე და გზა ორად იყოფოდა. დაუწყო ლოდინი ესპანელებს, მაგრამ ისინი არსად ჩანდნენ.

ის იყო გადასწყვიტა ბაიარდმა, უთუოდ მეორე გზით წავიდნენო, სადაც პოზდალი უდარაჯებდა, რომ უცებ თვალი მოჰკრა მტვრის ღრუბელს. ისინი იყვნენ. იარაღი ლაპლაპებდა ამომავალ მზის სხივებზედ. ესპანელნი ჩქარა მოდიოდნენ და მალე მოუახლოვდნენ ბაიარდს.

— წინ!—შესძახა ბაიარდმა ჯარს და მოულოდნელად დაეცა მტერს. ესპანელნი ისე შეშინდნენ უეცარის თავდასხმით, რომ ბევრმა იმათგანმა ცხენები უკან გამოაბრუნა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზარდაცემული გაიქცა. ოქროთი დატვირთულ ეტლთან ერთი მუჭა ჯარი-ღა დარჩა აფიცრის მეთაურობით. ბაიარდმა იძრო ხმალი და დაჰკრა თავში აფიცერს ისე ღონივრად, რომ საცოდავი უსულოდ დაეცა დედამიწაზე. ჯარისკაცებიც არ ჩამორჩნენ უფროსს და დაუწყეს მარჯვნივ თუ მარცხნივ ჩეხა-ჟლეტა. თავგანწირულებით იბრძოდნენ ესპანელნი და არ დამორჩილდნენ, ვიდრე ყველანი არ გაწყდნენ. ხაზინადარი შეტაკების წინადვე გადმოხტა ეტლიდან და გაქცევით უშველა თავს.

მხიარულად დაბრუნდა შინ ბაიარდი. შეატანინა ოთახში ოქროთი სავსე პარკები, მოხსნა პირი და წამოჰყარა მაგიდაზე. მაგიდამ ყვითლად ბჭყვრიალი დაიწყო!.. მამაცმა რაინდმა ორმოც-და-ათი ათას დუკატად (დუკატი—სამ მანეთიანს უდრის) დააფასა ეს ნადავლი.

შეჰყურებს ბაიარდი ბჭყვრიალა ოქროებს და შეჰხარის მისს საამო ჩხრიალს!..

— ეს რა მომდის!.. ნუ თუ სიხარბე იღვიძებს ჩემს გულში?! ეკითხება თავის თავს ბაიარდი.

ამ დროს გაიღო კარები და ოთახში შემოვიდა პოზდალი, დაჯავრიანებული და დალონებული!.. გადაჰხედა შურით სავსე თვალებით ოქროს და უთხრა მეგობარს:

ბედმა შენ გაგიღიმა, მეგობარო; მე კი ისევ ზურგი შემომაქცია!..

— ამხანაგო!—მიუბრუნდა ბაიარდი პოზდალს: —პირობა, რომელიც მე და შენ დავსდეთ ერთმანეთ შორის, ნებას არ გაძლევს წილი მოითხოვო!

— არც მიფიქრია მოგთხოვო, მეგობარო!

— მაგრამ იგივე პირობა არ მიკრძალავს მე წილი დაგიდო და ნახევარი ამ ოქროსი შემოგთავაზო!

ამ სიტყვებით ბაიარდი დაიხარა მაგიდისაკენ, გაჰყო ოქროს გროვა ორ თანასწორ ნაწილად, მიუთითა ერთზე პოზდალს და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს შენია!..

პოზდალი გაქვავდა და ადგილიდან ვერ იძროლა, თვალებზე მომდგარი ცრემლები ლოყებზე ჩამოედინა და შერცხვენილ-გახარებულმა მადლობა გადაუხადა ბაიარდს გრძნობით აღსავსე სიტყვებით.

— რას აპირებ ახლა მაგ შენის სიმდიდრით?—ჰკითხა ბაიარდმა.

— მე?.. რას ვაპირებ!.. კარგად იცი, რომ მძინავს თუ მღვიძავს, სულ ჩემი საფრანგეთი მესიზმრება... მინდა იქ წავიდე, გემრიელი ლუკმა ვჭამო ამ სიბერის დროს, ტკბილად დავიძინო, ადრე დავწვე, გვიან ავდგე!... აი, ეს არის ჩემი ფიქრი, ვიცხოვრო მოსვენებით და უზრუნველად!..

— მაგას ხუმრობით ამბობ, რასაკვირველია?!

— ხუმრობით!.. სრულიადაც არა! მაშ, რის მაქნისია ფული, თუ კი იმ სამსახურსაც არ გაუწევს ადამიანს, რომ დამშვიდებითა ⁄ ბედნიერად იცხოვროს?! მაშინ ხომ, ფული-კი არა, კენჭებია, ნაფოტები, ფიფინურები, სხვა არაფერი!.. აბა, დაფიქრდი და დამეთანხმები, რომ ტყუილს არ ვამბობ!

პოზდალმა წაიღო თავისი წილი ფული და წავიდა, დარჩა მარტო ბაიარდი და დაფიქრდა...

— ჰო და მართალია პოზდალი, რო კაცმა სთქვას! დიაღ, ათასჯერ მართალია!.. ისეთ კაცისათვის, როგორიც მე ვარ, ისეთ კაცისათვის, რომელიც ეძებს მარტო განსაცდელს, საშიშარ შემთხვევას, რომელსაც სწყურია ღვაწლი, გმირობა,—ასეთ კაცისათვის სისდიდრე საშიშია!.. იქნება ჩემთვისაც დრო დადგა—გემრიელ პურის ჭამისა, თბილ და რბილ ლოგინისათვის ვიზრუნო?... აა?... მაშ, მშვიდობით საყვირთა ღრიალო, მახვილთა ჩხერანო, ძლევათა ყიჟინავ!..

ბაიარდი აღელდა, თვალები აენთო, წამოხტა და გაბრაზებით მუშტი მაგიდაზე დაჰკრა...

— როგორ?.. მერე ჩემმა სახელმა ჩემზე მეტი ხანი არ უნდა იცოცხლოს?.. არ აღიწეროს ისტორიის ფურცლებზე

ჩემი სახელი, მოღვაწეობა, მხნეობა, სიმამაცე?! რად ვმონდა მაშინ სიმდიდრე? რა საჭიროა მაშინ ფული?..

ბიბლიოთეკა

რა კარგად უთქვამთ,—ფული საზიზღარი ლითონიაო! დიაღ! ფული სწორედ ხელის ჭუჭყია! ფული ეშმაკისაა! ფული საზიზღარი ლითონია! და მეც მეზიზღება!.. დიაღ!.. ჩემთვის ფულებზე ძვირფასი სახელია, დიდება, ღვაწლი!.. წამოიძახა მან და გააღო სარკმელი.

გარედ იდგნენ ჯარის კაცნი და რაღაცას ყაყანებდნენ, კამათობდნენ.

— ეი, ძმებო!

ჯარის კაცებმა ყურები სცქვიტეს, ხმა გაკმინდეს და თვალები ბაიარდს მიაპყრეს.

— მოიხედეთ, ახლავე წვიმა მოვა!..

ეს იყო ოქროს წვიმა: ბაიარდმა მუჭა-მუჭა გადაჰყარა ოქროები ფანჯრიდან!..

თ. კანდელაკი





ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლე და მისი მნიშვნელობა

(შემდეგი)

ეორე ნაირ უხილავ სხივების აღმოჩენა შეიძლება მათ ქიმიურ თვისებათა შემწეობით. ჩვეულებრივს სხივებს, სხვათა შორის, ის თვისებაც აქვსთ, რომ ქიმიურად*) მოქმედებენ, ესე იგი ზოგიერთ ნივთიერებას ჰშლიან შემადგენელ ნაწილებად, ზოგიერთს-კი აერთებენ და აჩენენ იმათგან ერთ რთულ ნივთიერებას. ამ რთულ მოვლენების აღწერას ახლა ვერ შეუდგები, მხოლოდ ნათქვამის განსამარტებლად მოვიყვან ერთ მაგალითს. აფთიაქებში იყიდება ერთ გვარი თეთრი ნივთიერება, რომელსაც ჰქვია ლაპისი. ამ ნივთიერებაში ურევია ვერცხლი. რომ გახსნათ წყალში, ან მისი ხსნილი იყიდოთ და მიუმატოთ წყალში გახსნილი საჭმელი მარილი, თქვენს ჭურჭელში (ჭიქაში ან შუშაში, რომელშიაც გახსნილი ნივთიერება გქონდათ) ჩაიკვეთება ხაჭოს (ნადუღის) მსგავსი თეთრი ნივთიერება, ეგრედ წოდებული ქლორიანი ვერცხლი: ეს

*) ქიმია არის ისეთი მეცნიერება, რომელიც იკვლევს ნივთიერების შინაგან ცვლილებას, მაგალითად, ოგორ იქცევა ღვინო ძმრად, რა ნაირად ჟანგდება რკინა, რა ხდება საკირე ქვის დაწვის შემდეგ, როდესაც მიღებული კირი დასაწვავ ქვას აღარა ჰგავს და სხვ.

შეადგენს ორი ნივთიერება—ქლორი და ვერცხლი. თუ ამ ნივთიერებას ჩვეულებრივ სინათლეში დავტოვებთ, თანდათან გაშავდება; თუ მზის პირდაპირი სხივები მოხვდა, მაშინ კიდევ უფრო ჩქარა და უფრო მძლავრად გაშავდება. გაშავების მიზეზი ამ რთულ ნივთიერების დაშლაა: სინათლის გავლენით ქლორი შორდება (ქლორი გაზია, რომელიც ჰაერში მიდის), და რჩება წმინდა ვერცხლი ფხვნილის მსგავსად,—ასე ფხვნილად ქცეულ ვერცხლს და სხვა მეტალებს შავი ფერი აქვთ. ეს ან სხვა უფრო სინათლის მგრძნობიარე ვერცხლნარევი ნივთიერება რომ მოვათავსოთ სპეკტრის სხვა-და-სხვა ნაწილებში, დავინახავთ, რომ წითელი და ყვითელი ნაწილი თითქმის სრულიად არ მოქმედებს მასზედ, შემდეგი ნაწილები კი თანდათან უფრო შესამჩნევად, თუმცა კიდევ სუსტად, სცვლიან ამ ნივთიერებას, და ყველაზედ უფრო მალულად კი იისფერი. მაგრამ ეს პროცესსი აქ არ ჩერდება: თუ გადაუნაცვლებთ ამ ნივთიერებას იისფერ ნაწილს იქით, ხილულ სპეკტრის სიგრძეზედ, შევნიშნავთ, რომ ამ მანძილზედ თანდათან კიდევ უფრო ენერგიულად იშლება. ცხადია, აქაც ბნელი სხივები უნდა იყოს—ისე ამ რთულ პროცესს რა მოახდენდა? ამ ბნელ სხივებს უწოდეს **ულტრა იისფერი** (ულტრა ლათინურად ნიშნავს „იქით") და აგრეთვე **ქიმიური სხივები.**

ეს უკანასკნელი ფაქტები კიდევ უფრო ნათლად ამტკიცებს, რომ მოვლენათა შეტყობა ჩვენის ორგანოების მდგომარეობაზედაა დამოკიდებული, და იმათ გარეშე ვერაფერს ვერ გავიგებთ. აგერ ახლა დავრწმუნდით, რომ, ჩვეულებრივ ნათელ სხივებს გარდა, ბნელი სხივებიც ყოფილა, მაგრამ კაცი იმათ თვალით ვერ ჰხედავს და მხოლოდ სხვა საშუალებით ტყობულობს. რომ ამ საშუალებისთვის არ მიეგნო კაცს, მაშინ არასოდესაც არ ეცოდინებოდა ბნელ სხივების არსებობა. მეცნიერებმა კიდევ სხვა ისეთი სხივებიც იციან, რომლების დანახვაც მხოლოდ რთულ აპპარატების შემწეობით შეიძლება...

ესაა საზოგადო თვისება მხედველობის ორგანოსი, არის კიდევ კერძო შემთხვევები, როდესაც სხვა ნაკლულოვანებაც აქვს თვალს, მაგალითად, გაჩოჩენილ მეცნიერს დალტონს ისეთი ავადმყოფობა ჰქონდა თვალებისა, რომ წითელი და მწვანე ერთი იყო იმისთვის: მწიფე ალუბალს მხოლოდ გარეგანის ფორმით არჩევდა ფოთლებისაგან. (თვალის ასეთს თვისებას დაარქვეს დალტონიზმი)...

ამ ნაირად ჩვენ გავიცანით თვალის თვისებანი და მის შესწავლის შემწეობით გავიგეთ, რომ სინათლე სრულიადაც იმ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, როგორც აქამდის გვეგონა. **ის თვალსა და ტვინს გარეშე არ არსებობს**, და ყოველად უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომ სინათლე თავისთავად არსებობდეს ბუნებაში, ან არსებულიყოს მაშინ, როდესაც ადამიანის და სხვა, მაღალ საფეხურზე მყოფ ცხოველების ჭაჭანებაც არ იყო. მაგრამ არც ცხოველების გაჩენა იყო საკმარისი იმისთვის, რომ გაეცნოთ სინათლე,—ეს ფიზიოლოგიური პროცესსი თვალისა. ამისთვის საჭირო იყო ნერვების განვითარება და თვალის შეძენა ცხოველების მიერ. დღესაც არიან ისეთი ცხოველები, რომლებსაც არც თვალი, არც სხვა გრძნობის ორგანოები აქვთ, და იმ ძველის-ძველ დროში, როდესაც, ზოგიერთების ცრუ ფიქრით, სინათლე უნდა გაჩენილიყო, ხომ სრულიადაც არ მოიპოვებოდა თვალიანი ცხოველი. თვალი, როგორც თვით ადამიანი და ბევრი სხვა ცხოველი, ნაყოფია მრავლისაგან-უმრავლეს საუკუნეთა ორგანიულ მუშაობისა ბუნებაში, და, ერთის წამის სურვილით ან ბრძანებით, იგი ვერ გაჩნდებოდა და ვერც გაუძლებდა სინათლის ტალღების მძლავრ მოქმედებას, თუ თანდათან არ იქნებოდა შეჩვეული ამ მეტად რთულ მოვლენას. გაიხსენეთ, რა ემართება ცხოველებს სინათლის და სიბნელის უცბად შეცვლის გამო, და ადვილად მიხვდებით ზევით ნათქვამს: როდესაც ბნელ მღვრეულებში მომწყვდეული მუშები ან გამოქვაბულთა ცხოველები გამოდიან უცებ სინათლეში, იმათი თვა-

ლები ვერ იტანენ სინათლეს და ავად ხდებიან. ამ ცხოველს ალბად თვითონაც გამოუცდია ამისთანა შეწუხება, როდესაც ბნელის ოთახის დარაბები გაუღია, და მზეს უცებ ღონივრად შემოუშუქებია...

სინათლე გაჩნდა მაშინ, როდესაც ცხოველებს ჩაესახათ ეთერის რყევის მგრძნობელი ნაწილები თვალისა და ტვინისა. ამ რყევის შეტყობინება, როგორც ზევით ნათქვამიდგან ვიცით, შეუძლია ნერვს პიგმენტის შემწეობით, რომელიც შთანთქავს ხოლმე სხივებს ისე, როგორც ყოველი სხვა შავი ნივთიერება. პირველად გაჩნდებოდა ისეთი მარტივი თვალი, რომელსაც ამისთანა უბრალო შენება ექნებოდა, და ეს საკმარისი იყო სინათლის საგრძნობად ანუ სინათლის სიბნელისაგან გასარჩევად. ახლაც არიან ისეთი ცხოველები, რომლებსაც მხოლოდ ამისთანა უბრალო თვალი აქვთ.

ი. მოსეშვილი

(შემდეგი იქნება)



უკანასკნელი რაინდი ალტენარი

(რეინული ლეგენდა)

იწრო და ღრმა ხეობაში, სადაც აარი მიაქანებს თავის აქაფებულ ზვირთებს რეინისაკენ, ახლაც მოსჩანს მაღალ კლდეზე მშვენიერი ციხე-დარბაზის ნანგრევები. წინად აქ სცხოვრობდნენ გულადი რაინდები; მათ შორის უკანასკნელი გმირი კურტ ალტენარი იყო. ისე არავის უყვარდა თავისუფლება, როგორც იმას. არწივებრ თავისუფალნი იყვნენ კურტის წინაპარნი თავიანთ კლდეებზე მიკრულს, მიუვალ ციხე-დარბაზში. ალტენარსაც თავისუფლების დაკარგვას სიკვდილი ერჩივნა. მეზობელი თავადები, რომლებმაც დაიპყრეს და დაიმორჩილეს ყველა რაინდები, 'მურით უცქეროდნენ თავისუფალ კურტს. ბოლოს მძლავრის რაზმით მიადგნენ ალტენარის სამფლობელოს.

აუწერელია მოხუცის გმირის მწუხარება, როდესაც დაინახა თავისი ციხე, მტრის ლაშქარით გარშემორტყმული. კლდესავით მტკიცე იყო იმისი გარდაწყვეტილება: არ დავნებდები, ვიბრძოლებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და ამასვე ფიქრობდნენ იმისი მეომრები. მტრად მოსულები მალე მიხვდნენ, რას ჰნიშნავს არწივთან ბრძოლა მიუვალ ბუდეში. მაღლიდან წამოსული ისრები დაუცდენელად იღებდა მიზანში

მტერს. მაგრამ კურტს თავადების ლაშქარზე უფრო საშინელი მტერი გამოუჩნდა. ეს მტერი სიმშილი იყო. ძის წინამე ფითრდებოდა მამაცი მეომარი, მახვილი უვარდებოდა ხელიდან გულად მებრძოლს. შიშით მოელოდა კურტი იმ დღეს, როდესაც გაუყოფდა მეომრებს უკანასკნელ პურს. მერე რაღა უნდა ექმნა?

თავადების ლაშქარში-კი ამ დროს სრული განხეთქილება სუფევდა. პირველად მეომრები ჩურჩულით აცხადებდნენ უკმაყოფილობას, მერე-კი ხმა-მაღლაც დაიწყეს დრტვინვა: „ტყუილად ვკარგავთ დროს და ვანთხევთ სისხლს, ალტენარს ვერაფერს დავაკლებთო“! იძახდნენ ისინი. თავადებს ბანაკში აჯანყების ფიქრიც-კი მიეცათ.

ერთ დილას ციხის კედელზე დაინახეს ამომავალ მზის სხივებით განათებული მამაცი რაინდი კურტ ალტენარი. თავით ფეხამდე იარაღში იჯდა. გულზედ ფარი ჰქონდა აფარებული, მარჯვენა ხელში ბასრი მახვილი ეჭირა. ამაყად იჯდა მოხუცი მეომარი თავის თეთრ ცხენზე. გაკვირვებული უყურებდნენ მტრები მამაც რაინდს, მზის სხივებით განათებულს. ამაყად გაიწოდა მან ხელი და, როდესაც ხმაურობა შესწყდა, გაისმა მდუმარებაში იმისი ხმა:

— „შემომხედეთ, აი, უკანასკნელი ადამიანი და უკანასკნელი ცხენი, რომელნიც სუნთქავენ ამ ციხეში. სიმშილმა წამართვა ცოლი, შვილი და, ყველა მეომრები. არავინ არ დარჩა აქ ჩემს მეტი. ყველანი თავისუფალნი დაიხოცნენ. მეც თავისუფალი მინდა მოვკვდე!

ესა სთქვა და ჰკრა დეზი ცხენსა; ცხენი შეკრთა და გაჩერდა უფსკრულის ნაპირად. რაინდმა დაჰკრა და ცხენმა შეჰკრა საშინელი საბედისწერო კამარა. აუწერელის სისწრაფით მიჰქროდა ცხენი და კაცი ძირს, პირ-დაღებულ უფსკრულში; აარის აქაფებულმა ზვირთებმა საუკუნოდ შთანთქა მხედარი და მისი თეთრი რაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშეშებულნი შესცქეროდნენ მტრები ამ სურათს. ამგვარი გაისმა უკან დაწევის საყვირი. ვერავინ ვერ გაჰბედა შესვლა ამ სიკვდილის ციხეში! ქვასაც კი ვერავინ ვერ ახლო ხელი!.. ალტენარის სიკვდილმა წმინდა ადგილად გადააქცია იქაურობა... და დიდ ხანს, კიდევ დიდ ხანს იდგა ციხე, როგორც მოწამე იმ თავისუფალ მამაც რაინდის სახელოვანის სიკვდილისა.

თ. ლომოური

მითოლოგია

ტროადის ომი

ჰექტორის და აიანტის შებრძოლება

პარისი ჰექტორის წასვლისათანავე მძიმედ შეიარაღდა და დაუყოვნებლივ ბრძოლის ველისაკენ გაეშურა. საომრად გამზადებული პარისი წამოეწია გზაში ჰექტორს სწორედ იმ დროს, როცა იგი თავის საყვარელ მეუღლეს—ანდრომახეს გამოეთხოვა. ტროადელების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ბრძოლის ველზედ ორივე ძმა ერთად დაინახეს თავით ფეხამდე შეჭურვილი.

ტროადელები გამხნევდნენ. თვითოეული მეომარი თავდავიწყებით იბრძოდა და მტერს სამაგიეროს უხდიდა. ჰექტორმა ელვის სისწრაფით ჩამოურბინა რაზმებს და ყველანი გაამხნევა, ყველას გულში გამარჯვების იმედი ჩაუნერგა. პარისიც არა ნაკლების სიმამაცით ამხნევებდა რაზმებს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მტერს სამაგიეროს უხდიდა. ამნაირად ომი კვლავ განახლდა და მოწინააღმდეგეთა სიმამაცესა და სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა.

ათინა ქალ-ღმერთამ, შეჰნიშნა რა, რომ ომი კვლავ განახლდა, და აქეველთა და ტროადელების მეომრები მეტად დიდ სისასტიკეს იჩენენ, დაუყოვნებლივ დაეშვა ოლიმპოსის მწვერვალიდან ტროადისაკენ.

---

*) იხილე „ნაკადული“ № 7.

ქალ-ღმერთა გზაში შეჰხვდა თავის ძმას აპოლლონ ღმერთს. და და-ძმამ ითათბირეს ომის შესახებ და გარდასწყვიტეს, ბოლო მოუღოთ სისხლის ღვრასაო. ღმერთები ამ აზრს დაადგნენ:

ჰექტორმა გამოიწვიოს აქეველთა რომელიმე გმირი და პირის-პირ შეებრძოლოსო. ამ ორის გმირის შებრძოლების დროს აქეველთა და ტროადელთა მხედრობას იარაღი უნდა დაეყარა.

მოხუც პრიამოსის შვილმა, გაბრძნობილმა ჰელენოსმა წინასწარ შეიტყო ღმერთების სურვილი და ასეთის სიტყვებით მიჰმართა თავის ძმას: „ჰექტორ, ჩემო საყვარელო ძმაო, შენ დღეს უნდა შეასრულო ჩემი თხოვნა და სურვილი. აბა, რა საჭიროა, რომ ეს უამრავი მხედრობა სისხლის მორევში სცურავს! ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება—ბოლო მოუღოთ ამ ულვთო სისხლის ღვარს. გამოიწვიე აქეველთა რომელიმე გმირი და პირის-პირ შეებრძოლე“!

ჰექტორმა დიდის სიამოვნებით მიიღო თავის ძმის ჰელენოსის წინადადება. ჰექტორი წარსდგა წინ და შემდეგის სიტყვებით მიჰმართა აქეველთა მხედრობას: „აქეველნო! ბოლო მოუღოთ ამოდენა სისხლის ღვრას! მე მსურს შევებრძოლო აქეველთა რომელსამე მამაც გმირს! შებრძოლების პირობა ესეთია. თუ მე დამძლევს თქვენი გმირი, იარაღი ამყაროს და თავის საკუთრებათ წაიღოს, ხოლო ჩემი უსულო გვამი-კი ტროადელებს დაუბრუნოს შესაფერის პატივით დასაკრძალავად. თუ მე ვძლევ ჩემს მოპირისპირეს, იარაღს ავხსნი და აპოლლონ ღმერთის ტაძარში ჩამოვკიდებ, ძლეულის უსულო გვამს-კი დაგიბრუნებთ, რათა დაკრძალოთ იგი თქვენის ხომალდების მახლობლად და საფლავი მისი შეამკოთ ღირსეულის ძეგლით“!

აქეველების მხედრობა სდუმდა, პასუხს არ აძლევდა: ერთის მხრით სცხვენოდა, ჰექტორის წინადადებაზედ უარი განეცხადებინა, ხოლო მეორეს მხრით შიშობდა, ვაი თუ ელ-

ლინთა მეომარი ვერ გაუმკლავდეს ტროადელების გმირს და დამარცხდესო.

ელლინთა მთავარ-სარდლის ძმა მენელაოსი მეტად გააბრაზა აქეველების მეომრების დუმილმა. „დიდი, დიდი სირცხვილია“,—გაბრაზებით წამოიძახა მენელაოსმა:—ელლინთა მხედრობისათვის ზვიად ჰექტორის წინადადების ასე უყურადღებოდ დატოვება! განა ელლინთა მხედრობა ისე დაეცა სულითა, რომ ჰექტორს ვერავინ გაუმკლავდება? დიახ, დიდი და დიდი სირცხვილია ამოდენ ხანს დუმილი ძლევამოსილ მხედრობისათვის! მაგრამ არა უშავს-რა! მე ავაშორებ თავიდან ამ სირცხვილს ელინთა მხედრობას! მე თვითონ შევებრძოლები გათამამებულს ჰექტორს!“ ამ სიტყვებთან ერთად მენელაოსი გაეშურა თავის სამხედრო კარავისაკენ შესაიარაღებლად, მაგრამ აგამემნონმა სტაცა ხელი თავის ძმას და ასეთის სიტყვებით მიჰმართა: „მენელაოს, ნებას არ გაძლევ ჰექტორს შეებრძოლო, რადგან ღრმად დარწმუნებული ვარ, უთუოდ გძლევს. თვით აქილევსსაც კი გაუჭირდებოდა ჰექტორთან შებრძოლება. ამიტომ სჯობს ისევ სხვას დაუთმო იარაღი და დეე სხვა, უფრო მამაცმა გმირმა გაუწიოს ანგარიში ჩვენს მოსისხლე მტერს!“ ამ ნაირად აგამემნონმა უარი ათქმევინა თავის ძმას ჰექტორთან შებრძოლებაზე.

მოხუცი და ტკბილ-მოუბარი ნესტორი მეტად დაალონა აქეველთა გმირების მდუმარებამ სწორედ იმ დროს, როცა თავმომწონე მტერი ასე მედიდურად იწვევდა მათ პირისპირ შესაბრძოლებლად. ტკბილ-მოუბარმა ნესტორმა მწუხარებით მიჰმართა აქეველთა გმირებს: „ჩემო საყვარელო მეგობრებო, განა თავზედ ლაფის დასხმა არ არის ელინთა მხედრობისათვის თქვენი ხმის გაკმენდა ასეთს მდგომარეობაში?! ღმერთო ჩემო! მე რომ თქვენსავით ახალგაზრდა ვიყო, თქვენსავით რომ ძალა მერჩოდეს მკლავებში, რომელიც არა ერთხელ ალმართულან მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, დარწმუნებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოთ, პირველი მე გავიდოდი ჰექტორის წინააღმდეგ, მიკვირს და გაოცებული ვარ, რომ არა ერთხელ და ორჯელ დაგიმტკიცებიათ იშვიათი სიმამაცე, არა ერთხელ და ორჯერ აღგიდგენიათ ელლინთა მხედრობის სახელი თქვენის პირადის მხნეობით და სიმამაცით და დღეს-კი, როცა თქვენს პირად მხნეობას საჭიროებს ჩვენი საერთო სამშობლო, ჩვენი ძლევა-მოსილი მხედრობა, თქვენ შიშობთ ჰექტორთან შებრძოლებას! განა ამაზედ მეტი სირცხვილი კიდევ შესაძლოა!? განა ამას შემდეგ ელლინთა მხედრობისა და ჩვენის გმირების სახელი სამუდამოდ მიწასთან არ გასწორდება?! ნეტავი თქვენის კარგად ყოფნით, ჩემს მოხუცებულობაში ამას არ შევსწრებოდი! ესეთი შერცხვენა ჩვენის მხედრობისა აუტანელი და წარმოუდგენელია!

სთქვა ეს ტკბილ-მოუბარმა ნესტორმა, რამდენჯერმე მძიმედ თავი გადააქნია და, ღრმა მწუხარებით მოცული, აქეველთა გმირებს შეჰყურებდა.

მოხუც ნესტორის სიტყვებმა გული აუჩქროლა აქეველების გმირებს. აგამემნონი, დიომედესი, ორივე აიანტი, იდომენეოსი, მერიონი, ევრიპილი, თოასი და ოდისევსი ერთხმად თანხმობას აცხადებდნენ ჰექტორთან შებრძოლებაზედ; თვითოეული მათგანი თავის სასიამოვნო მოვალეობად სთვლიდა იარაღში ჩამჯდარიყო და ჰექტორს შებრძოლებოდა. მოხუც ნესტორის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა საბრძოლველად თავით-ფეხამდე შეიარაღებული გმირები დაინახა. მოხუცმა ურჩია გმირებს, წილი ჰყარეთ და ისე გადასწყვიტეთ, თქვენ შორის ვინ შეებრძოლოს ჰექტორსაო.

წილი ჰხვდა უმცროს აიანტს. მძიმედ შეიარაღებული აიანტი გამოვიდა ელლინთა მხედრობის წინაშე. აქეველთა რაზმები სიხარულით შეჰყურებდნენ მამაც გმირს, რომელიც უშიშრად და თავმომწონედ მიიმართებოდა მტრისაკენ. აიანტის დანახვაზედ შიშის ზარმა აიტანა ტროადის მთელი მხედრობა. მამაცსა და გულადს ჰექტორსაც გული როგორღაც

ეთანაღრებოდა, იგიც-კი რაღასაც შიშობდა, მაგრამ მებრძოლებაზედ უარის თქმა ახლა ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო.

ორივე გულადი და მამაცი გმირი ერთი მეორეს დაუპირდაპირდა. აიანტმა მრისხანედ შესძახა ტროადელების მთავარ-სარდალს: „ახლა ხომ დარწმუნდი, ჰექტორ, რომ ელლინთა მხედრობას, გარდა აქილევსისა, კიდევ მოეძებნება სიმამაცით ლომის დარი მეომრები! ერთი ამ მეომართაგანი მეც გახლავარ! მაშ, რაღას აგვიანებ, დაიწყე ომი და შემებრძოლე!“.

ჰექტორმა უპასუხა აიანტს: „დიდებულო და კეთილშობილო აიანტ! ნუ გგონია, რომ გამოუცდელი ბავშვი ვიყო ან ქალი, რომელმაც არ იცის იარაღის ხმარება! დარწმუნებული უნდა იყო, რომ სამამაცო საქმეში დახელოვნებული ვარ, კარგად მემარჯვება მშვილდ-ისრის ხმარება, ნიშანში ამოღებაც კარგადა მაქვს შესწავლილი! ხოლო არა მსურს ცბიერებით გავიმარჯვო შენზედ და გძლიო! ასეთი საქციელი არ შეეფერება ჩემს ვაჟკაცობას, ცხადად, დაუფარველად მინდა ვიბრძოლო შენს წინააღმდეგ!“

ამ სიტყვებთან ერთად ჰექტორმა მძლავრად სტყორცნა აიანტს გრძელი ისარი. ისარი მოხვდა სპილენძის ფარს, რომელიც შვიდის ხარის ტყავით იყო გადაკრული; მძლავრად ნასროლმა ისარმა გასჭრა ექვსის ხარის ტყავი და მეშვიდე ტყავზედ შეჩერდა.

აიანტმაც მოიმარჯვა ისარი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სტყორცნა ჰექტორს. აიანტის მიერ მძლავრად ნასროლმა ისარმა ერთიანად შეანგრია ჰექტორის სპილენძის ფარი, ჯავშანი და ორად გააპო ტან-საცმელი. ჰექტორს რომ მოხერხებით ტანი განზედ არ გაეწია, ყოველს ეჭვს გარეშეა, სიკვდილს ვერ ასცდებოდა.

მეომრებმა გააფთრებულ ლომებივით კვლავ ჩაჰკიდეს ხელი ისრებს და ერთმანეთს დაუშინეს. ჰექტორმა აიანტის ფარს შიგ შუაგულსა ჰკრა ისარი, მაგრამ აქეველების გმირის ფარს ვერა დააკლო-რა, პირიქით, მის ისარს ბასრი წვერი მოუღუნა აიანტის სპილენძის ფარმა. უფრო მძლავრი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგა აიანტის მიერ ნასროლი ისარი: აიანტმა შუაზე გაუკრა მოწინააღმდეგეს ფარი და ჰექტორი მძიმედ დასჭრა კისერში. შავმა სისხლმა ნაკადულებრ გადმოსჩქეფა ჰექტორის დაჭრილ კისრიდან. ლომივით გააფთრებული ჰექტორი მძიმე ჭრილობამაც ვერ შეაფერხა: წამოავლო ხელი უზარმაზარ ქვის ლოდს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ესროლა თავის მოწინააღმდეგეს. აქეველების გმირმაც ამავე საშუალებას მიჰმართა. აიანტმაც მძლავრად ესროლა ჰექტორს უზარმაზარი ლოდი, რომლითაც მუხლებში დასჭრა ტროადელების მთავარ-სარდალი. ჰექტორი, აპოლლონ ღმერთის დახმარებით, დაუყოვნებლივ ფეხზედ წამოდგა. ორივე მოწინააღმდეგე მტერმა ელვის სისწრაფით ხმლებს წაავლეს ხელი და ერთმანეთთან მიიჭრნენ. უეჭველია, თავდავიწყებამდე მისულნი გმირნი ერთმანეთს ასო-ასო აჰკუწავდნენ, რომ მათ შორის არ ჩამდგარიყვნენ ტროადელებისა და ელლინების შუაკაცები. „შესწყვიტეთ ომი“! ლმობიერად შეეხმაურა ორთავე გმირს ტროადელების შუა კაცი, „ორივეს გმირობა და მამაცობა უეჭველია ყველასათვის. ორივეს თავგანწირულ გმირობას მაღალი ზევსიც-კი შეამოწმებს. ჰხედავთ, უკვე საღამო ახლოვდება და წყვდიადში ომის განგრძობა თქვენებრ დიდებულ და მამაც გმირებს არ შეშვენის“!

ჰექტორს და აიანტს მოეწონათ ასეთი რჩევა და ომიც შესწყვიტეს. ორი მოსისხლე მტერი ძმურად და მეგობრულად გამოეთხოვა ერთმანეთს. აიანტმა და ჰექტორმა ძვირფასი საჩუქრები მიუძღვნეს ერთურთსა და თავ-თავის სამხედრო ბანაკში დაბრუნდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა ჰექტორმა და აიანტმა შესწყვიტეს ბრძოლა, მახლობელ მაღალ მუხიდან აფრინდა ორი ქორი. ეს იყო აპოლლონ ღმერთი და ათინა ქალ-ღმერთი, რომელთაც ქორის სახე მიეღოთ და აქეველებისა და ტროადელების გმირების შებრძოლებას თვალ-ყურს ადევნებდნენ.

ა. მიქაბერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შ ა რ ა დ ა

პატარა ფრინველის სახელი
პირველი ნახევარია;
სულ მთლად-კი ოთხი ასოა,
აქ მხოლოდ ორი კმარია.
მას შემდეგ ორი სიტყვაა,
ფრინველის სახელი პირველი:
მსხვილი თავი აქვს, ღამე ფრენს,
ტანადად გასაკვირველი.
დაბოლოს სიტყვა ასოთი
მხოლოდ ორითა ითქმება;
ხარებს უტევებთ ამ სიტყვით,
თუ რომ ჯიუტი იქნება.
სულ ყველა ერთად თიხაა,
კომლისა სადინებელი,
ქეიფის მოყვარულისთვის
ის არი სალხინებელი.

ვანო ჭიჭინაძე

ციფრების ფოკუსი

ციფრს 9-ს ის თვისება აქვს, რომ რამდენითაც უნდა გაამრავლოთ, მიღებულ ჯამის ციფრების რიცხვი მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა იქნება, ანუ გაიყოფება ცხრაზე უნაშთოდ. მაგალითად:

$$\begin{array}{r} 9\times123 \\ 123 \\ \times 9 \\ \hline 1107 \end{array}$$

ამ ჯამის ოთხი ციფრის რიცხვი არის: $1+1+0+7=9$.

გარდა ამისა, არა თუ მარტო ერთ 9-ს აქვს ასეთი თვისება, არამედ იმ რამდენსამე ნიშნიან ციფრსაც კი, რომლის რიცხვი არ აღემატება ცხრას. მაგალითად: ავიღოთ იგივე ზემოდ მოყვანილი რიცხვი 1107.

აქ ჩვენ ვნახეთ, რომ $1+1+0+7$ არის 9. რამდენითაც გინდათ გავამრავლოთ ეს რიცხვი, ჯამის ციფრების შეერთებული რიცხვი, მაინც იქნება 9, ანუ გაიყოფება 9-ზედ უნაშთოდ.

მაგალითად

$$\begin{array}{r} 1107 \\ \times 25 \\ \hline 5535 \\ 2214 \\ \hline 27675 \end{array}$$

ახლა შევაერთოდ ციფრები: $2+7+6+7+5=27$.

ციფრების რიცხვი (27) ოც-და-შვიდი (რომელიც მაინც ცხრაა), გაიყოფება ცხრაზედ უნაშთოდ.

რაკი ეს თვისება გავიგეთ 9-სა, ახლა გამოვიყენოთ იგი ჩვენის ფოკუსისათვის.

დაუწერეთ თქვენს ამხანაგს რამდენიმე ნიშნიანი ციფრი, მაგრამ გულში გქონდეთ, რომ მიცემულ ციფრების ერთიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი ანუ ჯამი შეადგენდეს ცხრას. ავიღოთ მაგალითად: 45, 225, 117, 2133 და სხვა. მერმე სთხოვეთ, რომ ეს ციფრი, თქვენდა უჩვენებლად, გაამრავლოს რამდენითაც სურდეს. ვსთქვათ დაუწერეთ 2133 და იმან ჩუმად ეს ციფრი გაამრავლა 213. ჯამი იქნება:

```
  2133
   213
 ------
  6399
 2133
 4266
 ------
454229
```

გახსოვდეთ, რომ აქ ჯამში მოთავსებულის ციფრების რიცხვი 4+5+4+3+2+9=შეადგენს 27-ს, რომელიც გაიყოფება 9-ზედ.

როდესაც ამხანაგმა გითხრას:—ჰო, გავამრავლეო, მაშინ უთხარით:

— აბა, რომელი ციფრიც გინდა, მხოლოდ ერთი ციფრი ამოშალე-თქო.

ვსთქვათ ჯამიდან 454329 ამორიცხა ჩუმად 3.—უთხარით:—რა ციფრები დაგრჩა-თქო, თუ ამას მეტყვი, მივხვდები, რომელი ციფრიც ამოგიშლია-თქო.

ის გიპასუხებთ: დამრჩა 45429. მაშინ საჩქაროდ აზრით უნდა შეაერთოდ 4+5+4+2+9=24, რომელიც აღარ იყოფება უნაშთოდ ცხრაზედ, აქ ცხადია, რომ აკლია 3, რაც მართალია: თქვენმა ამხანაგმა ამოშალა სამი.

ეს ფოკუსი ასაწერად ძნელია, მაგრამ მისახვდენელად ძალიან ადვილი.

ვ. ნ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ე ბ უ ს ი

‘

’ 
, ვ

(ნაცვალ-
სახელი.)

ა , ” სი ძრ 100,

(მეცრფასი
ლიოონ.)


‘
ნ

“
ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-3 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა ცხარია.

ოედაქტორი **მ. ი. დემურია.** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

მიმღება ხელის მოწერა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**